პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული დაკავშირების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ХВირა, 3 აპრილი, 1949 წ. № 65 (8368). ფასი 20 კაპ.

ყოველდღიურად ვაუმჯობესოთ ვაჭრობა, უკეთესად მოვამარაგოთ მოსახლეობა

საბჭოთა ხალხის წარმატებებმა სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში შემქმნეს ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის გაშლისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფულის რეფორმამ, მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმებამ და სასურსაოთ და სამრეწველო საქონლის ერთიანი სახელმწიფო ფასების დაწესებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საბჭოთა მანეთის კურსი, გაადიდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის მნიშვნელობა. მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა 1948 წლის გასამაღლებში და 1949 წლის 1 მარტიდან მთელი რიგი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემდგომი შემცირება. ამ ღონისძიებათა განხორციელებით საბჭოთა ვაჭრობა ახალი, მძლავრი აღმავლობის გზას დადგა და განვლილ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

მაგრამ, როგორც ამხანაგი კ. ჩარკვიანი აღნიშნავდა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, „თავისუფალი საბჭოთა ვაჭრობის გაშლაში მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა ჩამოაშოროს ჩვენი ყურადღება საკავრო ორგანიზაციათა და ფაბრიკ მოხმარების საქონლის გამომშვებ საწარმოთა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს“.

საკავრო ორგანიზაციების მუშაობაში ის დიდი ნაკლია, რომ დღემდე არ არის ლიკვიდირებული ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებელად საქონლის ტანის პრაქტიკა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს რესპუბლიკის საკავრო ორგანიზაციების ქსელში ჩაწოლილია მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელი, რომელსაც მყიდველი არ ეტანება. ამასთან მთელ რიგ რაიონებში ყველა მაღაზიასა და ფარდულში როდი შეხვდებით პირველი საჭიროების საგნებს. ზშირად, განსაკუთრებით სოფლად, საკავრო მაღაზიებს საკადებლო ასორტიმენტის საქონლიდან არა აქვთ ისეთი საქონელი, როგორიცაა მაგალითად, მარილი, ნავთი, ჭურჭლეული, სხვადასხვა ზომის სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელი და სხვ. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, დონისსა, თეთრი წყაროს, ვანის, ხაშურისა და მთელი რიგი სხვა რაიონების საკავრო ქსელში.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ რესპუბლიკის საკავრო ორგანიზაციებისაგან მოითხოვა გადაჭრით გაუუმჯობესებინათ საქონელბრუნვისა და რაიონებსა და საკავრო წერტილებში საქონლის შეტანის დაგეგმვა, აღმოეფხვრათ ცალკეული ისეთი საქონლის მოღების ყოველგვარი შესაძლებლობა, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის. ამავე დროს უნდა მოწყობილიყო ჩაწოლილი საქონლის გადაწყვეტება და ამ გზით დაჩქარებულიყო მისი რეალიზაცია. ამ დავალების შესრულებას საკავრო ორგანიზაციები შეუდგნენ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულებაში მოწინავეთა რიგებში არიან საკავშირო დაქვემდებარების საკავრო ორგანიზაცია „გასტრონომი“, „სამხედრო ვაჭრობა“ და ზოგი სხვა ორგანიზაცია. ჩამორჩენაან უნივერსალიზი, „თბილისელ ვაჭრობა“, „საქვაჭრობა“, „პურეაჭრობა“, „ფეხსაცმეაჭრობა“, „აჭარავაჭრობა“, „საქართველოს კულორტეაჭრობა“ და სხვ., რომელთაც 25 მარტისათვის კვარტალური გეგმები შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 80-და 91 პროცენტამდე. უეჭველია, რომ საკავრო ორგანიზაციებს გეგმების შეუსრულებლობაში ხელს უშლის მომმარაგებელი ბაზების ცუდი მუშაობა. მათ ვერ უზრუნველყვეს საქონლის ფონდების შემოზიდვა და გამაღებელი ორგანიზაციებისათვის თავის დროზე მიწოდება. მაგრამ საკავრო ორგანიზაციების ჩამორჩენის მიზეზი მარტო ამაში არ უნდა ვეძიოთ. ვაჭრობის მუშაკები უფრო მოქნილად რომ მუშაობდნენ, მტაცეკავშირი ჰქონდეთ მომხმარებლებთან, ანგარიშს უწევდნენ მათს მოთხოვნებს და უშუალოდ იყენენ დაკავშირებულნი ბაზრისათვის საქონლის დამამზადებელ სამრეწველო საწარმოებთან, მათი საქმიანობის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხს, კერძოდ კი იმ პროდუქციისას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს. საკავრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პრეტენზიებს კი ზოგჯერ ჩვენი მრეწველობის მუშაკები ნაკლებ ანგარიშს უწევენ. როდესაც საკავრო ორგანიზაციები მრეწველობისაგან მოითხოვენ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას, ისინი ბარტო თავისი ვიწრო, უწყებრივი ინტერესებიდან კი არ გამოდიან, არამედ მომხმარებელთა და სახელმწიფოს ინტერესებიდან. ან რატომ არის აუცილებელი, რომ ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, სარეწაო კოოპერაციის სამმართველომ და ინვალიდთა კოოპერაციამ საბჭოთა ადამიანების უნდა მიაწოდონ მხოლოდ ლამაზი, მკვიდრი და ხარისხიანი კულტურული და სამეურნეო საქონელი. ეს არის სოფლად და ქალაქად ყველა საჭირო სამრეწველო და სასურსაოთ საქონლით გაშლილი, შეუფერხებელი ვაჭრობის აუცილებელი წინაპირობა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა რესპუბლიკაში ვაჭრობის მთელი საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ ყოველდღიურად არ მეშობენ საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და მოსახლეობის მომარაგების სისტემატური გაუმჯობესების საკითხებზე, ამ საქმეში გარდატეხა არ არის მიღწეული.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ გაშლილი პროგრამა დასახა საკავრო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისა და ვაჭრობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს პერიოდში გამოსწორებისათვის. ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა უფრო ღრმად ჩასწვდნენ ვაჭრობის საკითხებს, მხედველობაში მიიღონ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ამ მხრივ არსებული თავისებურებანი, იბრძოლონ მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ალბანეთის მთავრობის ღელეგაციის პატივსაცემად

1 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი სპირო კოლეკა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კოჩო ტეოდოსი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვასილ კატი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ჯაფარ სპაჰიუ, საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი შინაზი დრაგოტი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ნეჯიბ ვინჩანი, ალბანეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი მიხალ პრიფტი.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. შეშპოკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, მარშალი ა. მ. ვასილევსკი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალი ი. ს. იუმაშევი.

სადილზე გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მწყობრში ჩადგა საქართველოს ცემენტის ქარხნის ახალი მბრუნავი ღუმელი

კასპი. 1 აპრილს მწყობრში ჩადგა სტალინის სახელობის საქართველოს ცემენტის ქარხნის ახალი მძლავრი მბრუნავი ღუმელი. მბრუნავი ღუმელის მშენებლობა და მონტაჟი განხორციელებულ იქნა „საქშახტმშენის“ სამმართველოსა და საქართველოს ცემენტის ქარხნის კოლექტივების მიერ.

ახალი მძლავრი აგრეგატის მშენებლობა და მონტაჟი ჩატარდა მოკლე ვადებში, ზამთრის ძნელ პირობებში.

ახალი ღუმელის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ საქართველოს ცემენტის ქარხნის სიმძლავრე თითქმის ერთიორად დიდდება.

ახალი ღუმელის ამუშავებასთან დაკავშირებით შედგა მშენებელთა, მეშონტაჟეთა და ქარხნის კოლექტივის მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. თოფურიძე, რომელმაც მშენებლებსა და ექსპლოატაციის დარგის მუშაკებს მოუფიცა დიდი საწარმოო გამარჯვება და ახალი წარმატებები უსაქმეო მუშაობაში.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მშენებლობის უფროსი ამხ. გარიშვილი, ინჟინერი მემანტაძე ამხ. წერეთელიშვილი, საქართველოს ცემენტის ქარხნის დირექტორი ამხ. სავინსკი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მოსალმება ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

მოსალმება გაეგზავნა აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს. (საკდესი).

საკავშირო ალკკ XI ყრილობა

1 აპრილის დილის სხდომა

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XI ყრილობაზე 1 აპრილს გრძელდებოდა კამათი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სანაგარეშო მოხსენების გამო.

დილის სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდა სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ე. **ირაპეტიანი**, რომელმაც ყრილობას უამბო ომისშემდგომ მშენებლობაში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობაზე. რესპუბლიკის ახალგაზრდობა შრომობს საწარმოებში და ახალმშენებლობებზე, სწავლობს, ეუფლება ცოდნას და მისდევს სპორტს. სომხეთის ახალგაზრდა მეცხოველეობის 20 პროცენტზე მეტმა უკვე შეასრულა წლეკნდელი საწარმოო ნორმები და პროდუქციას ახლა მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

უზეი მოსაკლისათვის მებრძოლი სოფლის კომკავშირელები თაოსნობას იჩენენ აგრეთვე სოფლის ელექტროფიკაციის, რადიოფიკაციისა და კეთილმოწყობის საქმეში.

ამხ. აირაპეტიანმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

დასასრულ ამხ. აირაპეტიანმა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების მუშაობის შესახებ.

კომკავშირის გორკის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ნ. ზიმინი** ამბობს, რომ დელეგატებმა აღფრთოვანებით მოისმინეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმების სიტყვები საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი. ამ მისალმებით გამოხატულია მამობრივი, სტალინური ზრუნვა საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით საწარმოებში შეიქმნა და მუშაობს 3 ათასზე მეტი ახალგაზრდული ბრიგადა 1.500 ახალგაზრდული ბრიგადა ალეკსანდრე ჩუტკიხის მაგალითისამებრ უეშვებს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. უზეი მოსაკლის 3 ათასამდე რეგიონ შრომობს სოფლელ რაიონებში. სოფლის კომკავშირელები მონაწილეობენ ელექტროსადგურების მშენებლობაში, იბრძვიან სოფლის მთლიანი რადიოფიკაციისათვის.

დასასრულ ამხ. ზიმინი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაუთვალისწინებელ ხელმძღვანელობა პირველადი ორგანიზაციებისადმი, მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. აპოლონოვი** აცხადებს, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ხალხის კომუნისტიკური აღზრდის განუყოფელი ნაწილია, შშრომელთა ჯანსაღობის განმტკიცების და შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების საშუალებაა.

ახასიათებს რა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში 1949 წლის ამოცანებს, ამხ. აპოლონოვი ამბობს, რომ ფიზკულტურულ მოძრაობაში უნდა ჩავაბათ კიდევ 2 მილიონი ახალგაზრდა კაცი, მოვაზადოთ 3.620 ათასი შთ ნიშნოსანი და 285 ათასი სპორტსმენი-მეთანრიგე.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ფიზკულტურის მასობრივ განვითარებას.

შემდეგ გამოდის კომკავშირის ჩრდილო ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. გ. კულუმბეკოვი.** იგი ლაპარაკობს იმ ზეკლიზე, რომელიც ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომკავშირმა და ახალგაზრდობამ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შენებლობაში მეიტანეს. რესპუბლიკის 30 ათასზე მეტი კომკავშირელი — ბაბუები და ქალიშვილი, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ოლქის ახალგაზრდობის სახელით ამხ. კულუმბეკოვა მხურვალე მადლობას უძღვნის დიდ სტალინს ახალგაზრდობისათვის ყოველდღიური მზრუნველობის გამო.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი ამხ. **ა. ი. ბლატინი** თავის სიტყვაში შეჩერდა პრესის როლზე ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

ტრიბუნაზეა მოლოტოვის ოლქის მოლოტოვის სახელობის ოთხზის ორდენოსანი ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველი ამხ. **ე. ნ. გილეკი.** ქარხნის ახალგაზრდობის სახელით იგი ყრილობის დელეგატებს გადასცემს კომკავშირულ სალამს. ამხ. გილეკი აცხადებს, რომ მისმა ბრიგადამ ღირსეულად შეასრულა პირობა, რომელიც კომკავშირის XI ყრილობის აღსანიშნავად დადო, და ხუთწელიწადნახევრის ნორმა შეასრულა.

ამ განცხადებას ყრილობის დელეგატები ტაშით შეხვდნენ.

ყირგიზეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ო. უმურზაკოვი** ლაპარაკობს რესპუბლიკის მიღწევებზე და აღნიშნავს, რომ ამ საქმეში მცირე როლი როდი შეუსრულებიათ კომკავშირს და ახალგაზრდობს. საკავშირო ალკკ XI ყრილობისათვის ასობით ახალგაზრდულმა ბრიგადამ 5-9 წლის ნორმები შეასრულეს. კომკავშირის XI ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტებში ათიათასობით ახალგაზრდა მუშა მონაწილეობდა.

ამხ. უმურზაკოვი შემდეგ ჩერდება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლზე იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში.

ყირგიზთის მიესალმა რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ფლორესკუ, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

— მოდდავეთის კომკავშირული ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ახალგაზრდა ორგანიზაციაა, — ამბობს მოლდავეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ი. კოსანსკი.** — იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის საქეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ასიათასობით კომკავშირელი საკავშირო ალკკ XI ყრილობას ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდა. 400-მა ახალგაზრდულმა ბრიგადამ წარმატებით შეასრულა ვალდებულებანი 1949 წლის სამი და ხუთი თვის პროგრამების ვადამდე შესრულების შესახებ შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ვაუმჯობესების, ნედლეულის, მასალისა და ელექტროენერგიის მოჭიჭინეობის დარგში. ასობით ახალგაზრდა მუშამ გადაჭარბებით შეასრულა თავისი ხუთწლიანი ნორმები, ათასამდე კაცი უკვე 1950 წლის ანგარიშში მუშაობს.

შემდეგ ამხ. კოხანსკი ჩერდება რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ცუდად არის მოწყობილი ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება.

ტრიბუნაზეა საკავშირო ალკკ სტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ფ. დენისოვი.**

ქალაქი სტალინგრადი, რომელიც შემოსილია სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების დიდებით, განსაკუთრებით ძვირფასია საბჭოთა ადამიანისათვის. ახალგაზრდა სტალინგრადელები ენერგიულად მონაწილეობენ გმირი ქალაქის აღდგენაში.

ამხ. დენისოვი ლაპარაკობს სტალინგრადის ოლქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მოწინავე როლზე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. რამდენიმე ათასამა ახალგაზრდა მუშამ დაამთავრა წლეკნდელი კვარტალური დავალებანი, ათასობით ახალგაზრდა მუშამ შეასრულა ხუთწლიანი გეგმის ნორმები.

შემდეგ ამხ. დენისოვი ლაპარაკობს ახალგაზრდა მშენებლებთან კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და ღონისძიებებზე ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კომკავშირის რიაზანის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ე. კონკოვამ** ყრილობას უამბო, თუ როგორ იბრძვის ახალგაზრდობა ოლქის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, უზეი მოსაკლისათვის.

ქალაქ მოსკოვის კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. ნ. ვინოგრადოვმა** ყრილობას გაუზიარა მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობის შორის რაიკომის მუშაობის გამოცდილება.

ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. ნ. რაჯაბოვი** ლაპარაკობს, რომ ომისშემდგომ წლებში რესპუბლიკის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ტაჯიკეთი მებამბეობის ქვეყანაა და ადგილ უკვე ორი წელია ზედიზედ გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმას. ამაში ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის ახალგაზრდობას. 70 მებამბეს — კომკავშირის აღზრდილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ალბანეთის ახალგაზრდობის სახელით ყრილობას მიესალმა ალბანეთის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი რამის ალია, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყირილობის მისასალმებლად მოვიდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია. სხდომის ბარაზში შემოდიან საბჭოთა მეომრები—ქვეითები, მფრინავები, მეზღვაურები. დელეგატები მქუხარე ოვაციებით ხვდებიან სამშობლოს სახელოვან დამცველებს. ორკესტრი საზეიმო მარშს ასრულებს.

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ამხ. **გ. ვ. ბაკლანოვი.** იგი მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ყრილობას.

— საბჭოთა ხალხი,—ამბობს იგი, — შეიძლება მტკაცედ იყოს დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომელთაც იფარავს ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშა, მომავალშიც ფხიზლად იდგებიან თავისი სოციალისტური სამშობლოს საგუშაგოზე. მივესალმებით რა საკავშირო ალკკ XI ყრილობას, ჩვენ, საბჭოთა მეომრები, სულითა და გულით ეუსურვებთ კომკავშირს წარმატებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი (ბოლშევიკებისა), ჩვენი დიდი და ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

დარბაზში იწყება მქუხარე ოვაცია. დელეგატები ჯანმრთელობას უსურვებენ ამხანაგ სტალინს.

— დიდ მხედართმთავარს საყვარელ ბელადს, ამხანაგ სტალინს—ვაშა!

— დიდება ამხანაგ სტალინს!

— გაუმარჯოს ჩვენი დიდი სამშობლოს მეომრებს! ვაშა!

რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია, გაისმის შეძახილები „ვაშა“!.

ამით იხურება საკავშირო ალკკ XI ყრილობის სხდომა.

შემდეგი სხდომა შედგება 2 აპრილს, დილის 11 საათზე. (საკდესი).

გორკის დღეები

საქართველოს მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლისა—მაქსიმ გორკის დაბადების 81 წლისთავს, ტფილისელ ქარხნებში და კოლმეურნეობებში პროპაგანდისტები და აგიტატორები ესაუბრებიან მშრომელებს გორკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეკითხებიან მათ გორკის უკვდავ ქმნილებებს, რომლებიც მოგვიწოდებენ მთელი ძალები მოვახმაროთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის მამლავრი ბურჯის—სსრ კავშირის შემდგომ განმტკიცებას და გაძლიერებას. ქვემოთ ვბეჭდავთ წერილს, თუ როგორ აღნიშნავენ გორკის დღეებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ჩვენი გორკი. ჩვენი სიამაყე

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები აღნიშნავენ მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატის, კომუნიზმის იდეებისათვის მებრძოლის, მებრძოლის, სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტის ალექსი მაქსიმესძე გორკის დაბადების 81 წლისთავს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აქ, მაშინდელ რკინიგზის სახელოსნოებში, ერთად ვმუშაობდით. გორკი 1891 წელს მოვიდა აქ და ერთ წელზე ცოტა მეტი დაყო. იგი მაშინ ჩვენთან მღებავად მუშაობდა. ეს იყო ცარიზმის შავბნელ პირობებში, ეს იყო მაშინ, როდესაც მუშები ოფლს ღვრიდნენ ერთი მუჭა კაპიტალისტების გასამდიდრებლად. სამუშაოს დამთავრებისთანავე მაქსიმ გორკი ბიბლიოთეკაში მიდიოდა, კითხულობდა, თურმე წერდა კიდეც, რაც ჩვენთვის არასოდეს გაუბედნია. იგი მე უმთავრესად მესაუბრებოდა მუშების მდგომარეობაზე, ხშირად იტყოდა, მალე დადგება დრო, როდესაც მუშები იმუშავებენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი თავისათვისო. ალექსი მაქსიმესძე ამბობდა: მსურს შემოვიარო მთელი რუსეთი, რათა უფრო ახლოს გავიცნო მშრომელი ხალხის ფიქრები და მდგომარეობაო. მალე გორკი თბილისიდან წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ რკინიგზელმა მუშებმა გავიგეთ, რომ ჩვენი ამხანაგი, მღებავი ალექსი პეშკოვი მუშათა კლასის, ჩვენივე წრის უდიდესი მწერალი შეიქნა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გორკის მოთხრობები ხელიდან ხელში გადადიოდა.

1928 წელს გორკი კვლავ ესტუმრა თბილისს, თქვა შემდეგნაირი საამქროს უფროსის მოადგილემ ს. მელეფაშვილმა. არასოდეს არ დამავიწყდება გორკის სიხარულით გაბრწყინებული თვალები, როდესაც მას მოსწავლეებმა და რკინიგზელებმა ყვავილების ცოცხალი თაიგული მიართვეს. გორკიმ ილაპარაკა საბჭოთა სახელმწიფოზე, მისი როლის შესახებ მუშათა მოძძოაობისათვის მსოფლიოში, იგი მოგვიწოდებდა სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. გორკის, როგორც შესანიშნავ პუბლიცისტს, თავისი ბარი კალამი მიმართული ჰქონდა კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მოიწოდებდა რა მშვიდობიანობისაკენ, იგი ამბობდა: თუ მტერი არ გნებდება, უნდა გაანადგურო. თავის პუბლიცისტურ წერილებში თუ ზეპირ გამოსვლებში გორკი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს გაყოფილია ორ ბანაკად — სოციალიზმის ბანაკად და იმპერიალიზმის ბანაკად. გორკი ბოლშევიკური მგზნებარებით იცავდა სოციალიზმის იდეას, სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს.

ბელადის სახელობის ქარხნის მუშები დაიშალნენ იმ ღრმა რწმენით, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის — ეს იქნება უდიდესი ძეგლი ჩვენი დიდი მწერლის ალექსი მაქსიმესძე-ე გორკის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 აპრილის ცნობებით)

საქართველოს კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ მოხნულია 111.728 ჰექტარი, აქედან მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში — 24.462 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 32,3 პროცენტით.

კაჰეთის რაიონმა საგაზაფხულოდ 3.404 ჰექტარი მოხნა (გეგმის 80,1 პროცენტი), სამტრედიის რაიონმა — 6.150 ჰექტარი (60,7 პროცენტი), გეგეჭკორის რაიონმა — 5.320 ჰექტარი (57,5 პროცენტი). გარდაბნის რაიონში ხვნის გეგმა 140 პროცენტით არის შესრულებული, ყვარლის — 104,3, მცხეთის — 70,6, თბილისის — 69, საგარეჯოს — 15,9, კასპის — 36,8, გორის — 9,2, ქარელის — 27,3, ზესტაფონის — 11,5, წალენჯიხის — 82,9, აბაშის რაიონში 72,2 პროცენტი.

1 აპრილისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 3,8 პროცენტით არის შესრულებული. თბილისის რაიონმა გეგმა 38 პროცენტი შეასრულა (დათესა 1912 ჰექტარი). კაჰეთის რაიონში დაგალება შესრულებულია 32,6 პროცენტი, ყვარლის — 31,7, მცხეთის — 11,3, ბოლნისის — 8,5, საგარეჯოს — 3, მარნეულის რაიონში — 1,9 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა ყვარლის, კაჰეთისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს. ბოლნისის რაიონში გეგმა შესრულებულია 91,1 პროცენტით, ახმეტის — 82,4, გურჯაანის და თელავის — 74,3, კასპის — 71, ქარელის — 57,3, თბილისის — 65,3, მცხეთის — 52,3, სიღნაღის — 44, საგარეჯოს — 10,8, მარნეულის — 17,4, წითელწყაროს — 21,4, თეთრი წყაროს — 3,9, დუშეთის — 6,6, წალკის — 2,8, გორის — 12, ხაშურის რაიონში — 30,3 პროცენტით. თავთავიანი მარცვლეულის თესვა დაწყებულია აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ახალციხის, ასპინძის, ქედის სვანეთის, ამბროლაურის, ონის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონებში.

კოლმეურნეობებში მზესუმზირას თესვის გეგმა 30,2 პროცენტით არის შესრულებული. დავალება წარმატებით განაღდეს ყვარლისა და ახმეტის რაიონებმა. თელავის რაიონში თესვის გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით, კაჰეთის — 78,7, მცხეთის — 76, გურჯაანის — 57, ლაგოდეხის — 66,7, თბილისის — 42,9, საგარეჯოს — 4,7, წითელწყაროს — 13,7, სიღნაღის — 15,9, თეთრი წყაროს რაიონში — 12,8 პროცენტით.

1 აპრილისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 630 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, აქედან მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში — 615 ჰექტარი. ქარელის რაიონში თესვის გეგმა 24 პროცენტით არის შესრულებული (დათესილია 360 ჰექტარი), გორის რაიონში — 10,4 პროცენტით (125 ჰექტარი), კასპის — 10 (115 ჰექტარი), ხაშურის — 1,9 (25 ჰექტარი).

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 1.559 ჰექტარი ბოსტნეული კულტურები, გეგმის 15,4 პროცენტი. თესვაში შედარებით წინ არიან თბილისის, კაჰეთის, გურჯაანისა და გარდაბნის რაიონები.

გარდაბნის, თბილისისა და ახმეტას რაიონებმა წარმატებით შეასრულეს ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებმა კი — მრავალწლიანისა. მარნეულის რაიონში ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა შესრულებულია 28 პროცენტით, მცხეთის რაიონში — 36 პროცენტით, ყვარლის — 12, თელავის — 23, სიღნაღის — 8,8, კაჰეთის — 56, გურჯაანის — 32, ხაშურის რაიონში — 25,3 პროცენტით.

თბილისის რაიონში მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა შესრულებულია 36 პროცენტით, თელავის რაიონში — 10 პროცენტით, სიღნაღის — 21, კაჰეთის რაიონში 24 პროცენტით.

ხაშურის რაიონმა გეგმის გარეშე დათესა 22 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ა. Ⓜ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 81 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

Ⓜ. ᲒᲝᲠᲙᲘ

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

...ოკეანესა და ციწას კვამლთან სქელადაეზავებული ნისლი ჰპურავდა, წვრილი წვიმა ზანტად ესხმოდა ქალაქის ბნელ შენობებსა და ოფიდის მღვრიე წყალს.

გემის ქიმზე შეიკრიბნენ ემიგრანტები და მდუმარედ იცქირებოდნენ გარშემო იმედითა და შიმით, მოლოდინითა და სიხარულით აღსავსე გაკვირვებული თვალთ.

— ეს ვინ არის? — წუნარად იკითხა პოლონელმა ქალაშვილმა და გაკვირვებით გაიშვირა თითი თავისუფლების ქანდაკებისაკენ. ვიღაცამ უპასუხა:

— ამერიკის ღმერთია...

ბრინჯაოს ქალის მასიური ფიგურა თავით ფეხამდე მწვანე ობს დაუფარავს. ცივი სახე ბრძად იცქირება ნისლში უდაბური ოკეანისაკენ, თითქოს ბრინჯაოთ მზეს ელოდაროს, რომ მან გაუცოცხლოს მკვდარი თვალები. თავისუფლების ქანდაკების ფეხქვეშ მიწა ცოტაა, იგი თითქოს ოკეანიდან ამოტეტეგებულა, მისი კვარცხლბეკი თითქოს გაყინულო ტალღებია. ოკეანეს. და გემების ანძებზე მაღლა აღმართული ხელი ქალს მედიდურობისა და სიღამაზის იერს ანიჭებს. ასე გგონია— ეი ცაფიოდ აკაკაშდება მტკიცე ხელში ნაკერი ჩირაღდანი, გაფანტავს რუხ კვამლს და გარემოს უხვად მოჰფენს მცხუნვარე, სასიხარულო სინათლეს.

ხოლო მიწის უმნიშვნელო ნაკვეთის გარშემო, რომელზეც ქანდაკება აღმართულა, ოკეანის წყალში, ვით წარდენამდელი საშინელებანი, დასრულებენ უზარმაზარი რკინის გემები, მშიერ მხეცებივით დაძრწიან ბომცოო კარკაპები. ზღაპრულ დევგმირებივით ღრიალებენ სირინოზები, გაისმის ვაჯავრებული სტვენა, რახრახებენ ღუზის ჯაჭვები, ბაკცრად ტყლაშუნებენ ოკეანის ტალღები.

გარშემო ყოველივე გარბის, ისწრაფვის, დაძაბულად ცახცახებს. გემთა ხრახნები და ბორბლები აჩქარებით ურტყამენ წყალს — იგი დაფარულია ყვითელი ქაფით, დაღარულია ნაოჭებით.

და გგონია, რომ ყველაფერი — რკინა, ქვა, წყალი, ხე—აღსავსეა უმზეო, უბალისო და უბედნიერო სიცოცხლის წინააღმდეგ პროტესტით, მძიმე შრომის მონობაშია ყოველივე. ყველაფერი გმინავს, ღრიალებს, კბილებს აღრჭიალებს და ადამიანისადმი რაღაც მტრული საიდუმლო ძალის ნებას ემორჩილება. ყველგან, წყლის მკერდზე, რკინას რომ დაუნავს და დაუფლეთია, ნავთის ზიზღსაან ლაქებს რომ გაუთხუპნია, ნაფოტებსა და ბურბუშელს, ჩალისა და საპმლის ნაშესარავებს რომ დაუნაგვიანია, — ყველგან მუშაობს თვალით შეუმჩნეველი ცივი და ბოროტი ძალა. იგი მკაცრად და ერთსახოვანად უმუჯლუგუნებს მთელს ამ უზარმაზარ მანქანას, რომელშიც ხოალდები და დოკები მხოლოდ მცირე ნაწილებია, ადამიანი კი — უმნიშვნელო ხრახნი, უჩინარი წერტილი რკინის, ხის მახინჯ ჭუჭყიან ხლართულთა შორის, გემთა, ნავთა და ვაგონებით დატვირთულ რაღაც ბრტყელ ინჩხოდელთა ქოსში.

ხმაურით თავბრუდასხმული, დაყრუებული, მკვდარი მატერიის ამ ორომტრიალით მოთენთილი ორფეხა არსება, მთლად მეჯარტლითა და ზეთით გამერული, შარვლის ჯიბეში ხელებჩაწყობილი უცნაურად დაეკერა. მისი სახე სქლად დაფარავს გაზნინთულ ტალახს, და არა-ცოცხალი ადამიანის თვალები ბრწყინაეენ მის სახეზე, არამედ თვთრი კბილები.

* * *

ნელა მიბობღავს გემი სხვა გემთა შორის. ემიგრანტთა სახეები უცნაურად რუხი გახდა, დაიბნიდა, რაღაცნაირად ცხვრის თვალებივით გამოშტერდა ყველას თვალი. ადამიანები ქიმთან დგანან და უტაკად გასაქერიან ნისლს.

ნისლში კი იბადება, იზრდება რაღაც წარმოუდგენლად უზარმაზარი, გამაყრუებელი ჩრჩოლით აღსავსე, იგი ადამიანებისაკენ მოდის, მძიმედ, მყრალად ხრჩოლავს მისი ნასუნთქი, და მის ხმაურში რაღაც მრისხანე, გაუმაძღარი მოისმის.

ეს არის ქალაქი, ეს არის ნიუ-იორკი. ნაპირზე დგანან ოცსართულიანი სახლები, მდუმარე და ბნელი „ცათამბრჯენები“. კვადრატული, სილამაზის სურვილს მოკლებული, გამოლენჩებული ძმის შენობები ნაოვლიანად და მოწყენილად აღმართულან. გრძნობ, რომ ყოველი სახლი იკვეხნის თავის სიმაღლეს, თავის სიმახინჯეს. ფანჯრებში ყვავილები არ არის და ბავშვებიც არ ჩანან...

შორიდან ქალაქი გეჩვენება უზარმაზარ ყბად, რომელსაც უსწორმასწორო შავი კბილები ასხია. იგი სუნთქავს და ცას აბნელებს კვამლის ღრუბლებით, და ისე ქშნავს, როგორც სიმსუქნით შეწუხებული გაუმაძღარი.

როცა ქალაქში შედიხარ, გრძნობ, რომ მოხვდი ქვისა და რკინის კუჭში, რომელშაც რამდენიმე მილიონი ადამიანი შთანთქა და ახლა ხარშავს, ინელებს მათ.

ქუჩა გალიპული, გაუმაძღარი ხახაა; ამ ქუჩით სადღაც სიღრმეში მიექანებიან ქალაქის საზრდოს შავი ნაჭრები— ცოცხალი ადამიანები. ყველგან—თავზე, ფეხქვეშ და შენს გვერდით ცხოვრობს, რახრახებს და გამარჯვებას ზიარმობს რკინა. ოქროს ძალით სასიცოცხლოდ მოვლენილი, მის მიერ გასულდგმეულები, იგი ადამიანს თავის ქსელში ხვევს, აბრუებს, სისხლსა და ტვინს სწურნის, კუნთებსა და ნერვებს უთნავს და იზრდება, იზ დება, უტყვ ქვას ემყარება და სულ უფრო შორს შლის თავისი ჯაჭვის რგოლებს.

უზარმაზარ მატლებივით მიცოცავენ ლოკომოტივები და მიათრევენ ვაგონებს, მსუქან იხვებივით ყიყინებენ ავტომობილთა საყვირები, ნაღვლიანად ღრიალებს ელექტრონი, — დახუთული ჰაერი, ვით ღრუბელი ნესტით, ათასსაინი მყვირალა ხმით გამსჭვალულა. ამ ჭუჭყიან ქალაქში მომწყვდეული, ფაბრიკების ბოლით გათხუპნული, იგი უძრავია გამეჯარტლულ მაღალ კედლთა შორის.

* * *

მოედნებზე და პატარა სკვერებში, სადაც ხეთა დამტვერული ფოთლები მკვდარიეთ კიდია ტოტებზე, — ალმართულან შავი მონუმენტები. მათი სახე ჭუჭყის სქელ ფენას დაუფარავს, მათი, ოდესღაც საპობლოს სიყვარულით ანთებული, თვალები, ქალაქს მტვერს აუსია. ეს ბრინჯაოს ადამიანები მკვდარნი და მარტონი არიან მრავალსართულიანი სახლების ბანდულში, ისინი ქონდრის კაცებს ემსგავსებიან მაღალი კედლების შავ ჩრდილში, მათს გარშემო გამეფებული სიგიჟის ქაოსში მიკარგულან, გაზრეტულან და, ნახევრადდამბაჟებულნი, ნაოვლიანად, გულის ტკივილით უცქერიან თავიანთ ფერხთაქვეშ ადამიანთა დაუოკებელ ფუსფუსს. პატარა, შავი ადამიანები კუდმომწვარნი გარბიან მონუმენტების ახლოს, და არავინ თვალსაც კი არ შეავლებს გმირის სახეს. კაპიტალის იხტიოზავრებმა ადამიანთა ხსოვნაში ამოშალეს თავისუფლების შემმქნელთა მნიშვნელობა.

ასე გგონია, ბრინჯაოს ადამიანები ერთსა და იმავე მძიმე აზრს შეუპყრიათ: — განა მე ასეთი ცხოვრების შექმნა მსურდა!

გარშემო, როგორც ქვაბი ცეცხლზე, დუღს გამალებული ცხოვრება, მირბიან, დაბრინაოებენ, იკარგებიან ამ დუღილში, როგორც ნამესრეგი მდუღარეში, ვით ნაფოტები ზღვაში, პატარა ადამიანები. ქალაქი ღრიალებს და ზედიზედ ნთქავს მათ გაუმაძღარი ხახა.

ზოგიერთ გმირს ხელები დაუშვია, ზოგს აღუმართავს, ზოგს კი ადამიანთა თავზე გაუწვდია და აფრთხილებს:

— შეჩერდით, ეს ცხოვრება კი არა, სიგიჟეა...

ყველა ისინი ზედმეტი არიან ქუჩის ცხოვრების ქაოსში, ყველა ისინი თავის ადგილზე როი არიან გაუმაძღრობის მხეცურ ღრიალში, ისინი ტყვედ შეუპყრია ქვის, მინისა და რკინის ნაღვლიან ფანტაზიას.

ერთხელაც იქნება, ღამით, ისინი ყველანი ჩამოვენენ კვარცხლბეკებიდან და შეუერაცხყოფილთა მძიმე ნაბიჯით წავლენ ქუჩაში და თავისი მარტობის ნაოვლ ქალაქიდან შორს წაიღებენ მინდვრად, სადაც კაშკაშებს მთვარე, არის ჰაერი და წყნარი სიმშვიდე. როცა ადამიანს მთელი სიცოცხლე თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უშრომნია, ამით უთუოდ დაუმსახურებია, რომ სიკვდილის შემდეგ მოსვენება აღირსონ.

* * *

ქვაფენილებით ადამიანები იქითაქეთ, ყოველი მიმართულებით ისწრაფვიან. მათ ისუტავენ ქვის კედლების ღრმა ფორები. რკინის ძოზიეზე გუგუნი, ელექტრონის ხმამაღალი ღრიალი, ლითთხის ახალი ქსელის, ქვის ახალი კედლების აგების სამუშაოთა მგრგვინავი ხმაური — ყოველივე ეს აბრობს ადამიანთა ხმას, როგორც ქარიშმალი ოკეანეში — ფრინველთა ძახილს.

ადამიანთა სახეები უძრავი, მშვიდია — ალბათ მათ შორის არავინ არა გრძნობს უბედურებას ცხოვრების მონობის გამო, საშინელი ქალაქის საკვებად ყოფნის გამო. ნაოვლიანი ქედმალლობით მათ თავი საკუთარი ბედის მპატრონ-პატრონად მიაჩნიათ—მათს თვალში ხანდახან გამოკრთის თავისი დამოუკიდებლობის შეგნება, მაგრამ, ჩანს, მათთვის გაუგებარია, რომ ეს არის მხოლოდ ნაჯახის დამოუკიდებლობა ხეოს ხელში, ურიოს—მჭედლის ხელში, აგურისა — უჩინარი კალატოზის ხელში, რომელიც ეშმაკურად იღიმება და ყველასთვის ერთ უზარმაზარს, მაგრამ ვიწრო სპპატიმროს აშენებს. ბევრია ენერგიული სახე, მაგრამ ყოველ სახეზე, უწინარეს ყოვლისა, კბილებს ამჩნევ, შინაგანი თავისუფლება, სულის თავისუფლება არ ბრწყინავს ადამიანთა თვალში. და ეს თავისუფლებასმაკლებული ენერგია მოგაგონებს ცივ ლაპლაპს დანისას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაუბოგაგებიათ. ეს არის თავისუფლება ბრმა იარაღებისა ყვითელი ეშმაკის — ოქროს ხელში.

მე პირველად ვხედავ ასეთ საშინელ ქალაქს, და ადამიანები არასოდეს არ ბოძჩვენენია ესოდენ უმნიშვნელონი, ესოდენ დამონებულნი. და ამავე დროს არსად არ მინახავს ისინი ესოდენ ტრაგიკომიკურად ქმაყოფილნი თავისი თავით, როგორც გაუმაძღარის ამ ხარბ და ჭუჭყიან კუჭში, რომელსაც მსუნაგობით იდიოტიზმი შეჰყრია და პირუტყვის მხეცური ღრიალით ნთქავს ტვინსა და ნერვებს...

საშინელი და საწყენია ადამიანებზე ლაპარაკი.

„საჰაერო გზის“ ვაგონი ღრიალითა და გრიალით მიჰქრის რელსებზე, ვიწრო ქუჩის სახლთა კედლებს შორის, მესაზე სართულების სიმაღლეზე, რომელთაც ერთფეროვნად ახეკეიათ გარს აივნებისა და კიბეების რიკულები. ფანჯრები ღიაა, და თითქმის ყოველ ფანჯარაში მოჩანან ადამიანები. ზოგი მუშაობს, რაღაცას კერავს ან ანგარიშობს, მაგიდაზე თავდახრილი, ზოგი ფანჯარასთან ზის, ზოგი ფანჯრის რაფას მკერდით დაყრდნობია და შესაქეროის ვაგონებს, ყოველ წუთში რომ ძათს თვალწინ დაქმიიან. ძოხუცები, ახალგაზრდები და ბავშვები — ყველა თანაბრად უტაკეა, თანაბრად მშვიდია. შესხვეოვან ან უმიზნო სრბოლას, მისჩვეეოან იმის ფიქრს, რომ აქ არის მიზანი. თვალებში არა ჩანს რისხვა რკინის ბატონობის წინააღმდეგ, არ ისახება სიძულვილი მისი ზეიმისადმი. ვაგონების სრბოლა არყეეს სახლთა კედლებს,—იხხვეიან ქალთა მკერდები, მამაკაცთა თავები; აივნების რიკულებზე გადმოყუდებულან ბავშთა სხეულები და აგრეთვე ცახცახებენ, რადგან ეჩვეინან ეს საზიზღარი ცხოვრება მიიღონ როგორც სათანადო, გაორეულნი. ტვინში, რომელიც მუდამ ირყეეა, ალბათ, შეუძლებელია აზრმა მოქმოსვოს წარმტაცი, გაბედული სახეები, შეუძლებელია წარმოშვას ცოცხალი, შემმართებელი ოცნება.

აი გაკრთა შავბნელი სახე დედაბრისა, რომელსაც აკვია ჭუჭყიანი კოფთა, ბაკრეზე გახსნილი. ცარცნაჯუღმა, მოწამლულმა ჰაერმა გზა მისცა ვაგონებს და შენინებული შეიჭრა ფანჯრებში,— ბაღარა თმა დედაბრის თავზე აფართქალდა, როგორც რუხი ფრინველის ფრთები. მან დახუჭა დამძიმებული, მიმქრალი თვალები. გაჰქრა.

მიბინდულ ოთახებში ისახებიან ძონძებით დაფარული საწოლები რკინის ჩხრები, ჭუჭყიანი ჭურჭელი და საჭმლის ნამესრეგი სუფრებზე. გსურს ფანჯრებში დაინახო ყვავილები, ეძებ ადამიანს, რომელსაც ხელში წიგნი ეჭიროს. კედლები, თითქოს გალობილიაო, თვალწინ მიჰქრიან, მღერიე ნაკადებად მოედინებიან, ნაკადის ჩქარ მდინარებაში ძმიმედ ფუსფუსებენ უტყვი ადამიანები.

მელოტი კეფა ბუნდოვანად გაკრთა ფანჯრის დამტვერულ მინაში. იგი ერთბაშად ირხეოდა რაღაც დაზგაზე. ქალიშვილი, მწითურთმიანი და ტანწვრილი, ფანჯარასთან ზის, წინდას ქსოვს და ჩაბნეულებული თვალით მარყუჟებს ითვლის. ჰაერის ტალღამ ოთახისაკენ გადაბარა—მას თვალი არ მოუშორებია სამუშაოსთვის, არ გაუსწორებია ქარიხავან ფრიალებული კაბა. ხეთიოდე წლის ორი ბიჭი აივანზე ნაფოტების სახლს აშენებს. სახლი რუეკად დაანგრია. ბავშვები პატარა თათებით ეჭიერენ თხელ ნაფოტებს, რომ აივნის რიკულის თარალებიდან ქუჩაში არ გადაცვივდეს,—და აგრეთვე არ უცქერიან იმ მიზეს, რამაც ხელი შეუშალა მათს საქმიანობას. კვლავ და კვლავ სახეები, ზედიზედ, კრთებიან ფანჯრებში, როგორც ერთი—დიდი, მაგრამ უმნიშვნელო ნამსხვრევებად ქცეული რაღაც, რომელიც ხვიხვად იქცა.

ვაგონების გაცოფებული სრბოლით ამბრიალებული ჰაერი აფრიალებს ადამიანთა ტანსაცმელსა და თმას, სახეში სცემს თბილ, დახშულ ტალღასავით, ყურებში აჩრის ათასგვარ ხმას, თვალებში აყრის მწვავე მტვერს, აბრმავებს, აყოფებს გაბმული, განუწყვეტელი ღრიალა ხმით...

ცოცხალი ადამიანისათვის, რომელიც აზროვნებს, თავის ტვინში ქმნის ოცნებას, სურათებს, სახეებს, წარმოქმნის სურვილებს, დარდობს, ნატრობს, უარყოფს, იმედოვნებს,—ცოცხალი ადამიანისათვის ამ ველურ ღრიალს, ჭყივილს, ღმუილს, ქვიტკირის კედლების რყევას, მინის ზანზარს ფანჯრებში — ყოველივე ამას ხელი უნდა შეეშალა. იგი აღშფოთებული გავიდოდა გარეთ და დაამხვრევდა, დალეწავდა ამ ეაზიზრობას — „საჰაერო გზას“; ჩაეუმბდა რკინის უტიფარ ღმუილს, იგი—ცხოვრების ბატონ-პატრონია, ცხოვრება ხომ მისთვისაა, და ყოველივე, რაც ხელს უშლის მის სიცოცხლეს, — უნდა მოისპოს.

ადამიანები ყვითელი ეშმაკის ქალაქის სახლებში მშვიდად ითმენენ ყოველივეს, რაც ადამიანს კლავს.

* * *

ქვემოთ, „საჰაერო გზის“ რკინის ქსელქვეშ, ქვაფენილთა მტვერსა და ტალახში, ჩუმად ცოდვილობენ ბავშვები,—ჩუმად-ბეთქი, თუმცა კიდევ იცინიან და ყვირიან, როგორც მთელი დედამიწის ბავშვები, მაგრამ მათი ხმა იხშობა მათს თავზე გამეფებულ რახრახში, როგორც წვიმის წვეთები ზღვაში. ისინი გვანან ყვავილებს, რომლებიც ვიღაცას ტალანქმა ხელმა სახლებიდან ქუჩის ტალახში გადმოყარა. ისინი იკვეხნიან ქალაქის ზიზღნიანი ანაორთქლით და ამიტომ ფერმკრთალი და ყვითელი არიან, მათი სისხლი მოწამლულია, ნერვები გადიზიანებულია ენანგიანი ლიიოონის საბედისწერო რახრახით, დამონებული ელვის ნაღვლიანი ღმუილით.

განა ეს ბავშვები ჯანსაღ, გაბედულ, ამაყ ადამიანებად გაიზრდებიან? — ეკითხები შენს თავს. პასუხად ყველგან გაისმის კბილთა ღრჭენა, ხითხითი, ბოროტი ჭყივინი.

ვაგონები მიჰქრიან ისტ-საიდის მახლობლად, ღარიბთა უბნის, ქალაქის კომპოსტური თხრილის მახლობლად. ღრმა თხრილების მსგავს ქუჩებს ადამიანები მიაყავს სადღაც, ქალაქის სიღრმეში, სადაც — გონებას წარმოუდგება — მოწყობილია უზარმაზარი, უძირო ორმო—ქვაბი თუ თანჯური, — იქ მიედინება ყველა ეს ადამიანი, და იქ ხარშავენ მათგან ოქროს. ქუჩათა თხრილები სავსეა ბავშვებით.

მე ძალიან ბევრი მინახავს სიღატაკე, ჩემთვის კარგად ნაცნობია მისი მწვავე სისხლდაშრეტილი, გაძალტყვეებული სახე. მისი თვალები, შიმშილით გამოშტერებული და გაუმაძღრობით ანთებული, ეშმაკური და შურისმგებლური ან მონურად მორჩილი და მუდამ არაადამიანური, მე ყველგან მინახავს, მაგრამ ისტ-საიდის სიღატაკის საშინელება ყველაზე უფრო შავბნელია, რაც კი მინახავს.

ამ ქუჩებში, რომლებიც ისეა გაჭედილი ადამიანებით, როგორც ტომარი ბურღულით, ბავშვები ნავვის ყუთებში, რომლებიც ბანელებთან დაუდგამთ, ხარბად ეძებენ დამპალ ბოსტნეულს და იქვე, მწვავე მტვერსა და დახშულ ჰაერში, ნთქავენ ობთან ერთად.

როცა ისინი იპოვნიან დაობებული პურის ქერქს, იგი მათ შორის მხეცურ მტრობას იწვევს: ყველას სურს გადაყლაპოს იგი, და იბრძვიან, როგორც ჰატარა ფინები. ქვაფენილებს გუნდებად დაფენებიან ხლმე, როგორც დამშეული მტრედები; ნაშუალაქვის პირველ, მეორე საათზე და უფრო გვიანაც — ისინი ჯერ კიდევ იქექებიან ტალახში, ეს სიღატაკის უბადრუკი მიკრობები, ყვითელი ეშმაკის მდიდარი მონების გაუმაძღრობის ცოცხალი საყვედური.

ჭუჭყიანი ქუჩების კუთხეებში დგას რაღაც ღუმელები თუ ტაფები, შიგ რაღაც იწვის, იხარშება, ორთქლი წვრილი მილაკით ჰაერში მიედინება და აწვალებს პატარა სასტვენს მილაკის ბოლოზე. წვრილი, ყურისწამღები სტვენა თავისი ცახცახა წვეტით მსჭვალავს ქუჩების ყოველგვარ ხმას, უსასრულოდ გრძელდება, როგორც მეტისმეტად თეთრი, ცივი ძაფი, იგი იხვევა ყელში, ხლართავს აზრებს თავში, გაცოფებს, სადღაც მიგრეკავს და, ერთი წუთითაც კი დაუცხრალი, ღელეს სმყოლაენი, ჰაერი რომ შთაყთქმამ, ქღერს დამცინავად და გაბოროტებით გმირავს ამ ჭუჭყიან ცხოვრებას.

ჭუჭყი — სტექიონი, მას ყველაფერი გაუფლეთნავს: სახლის კედლები, ფანჯრების მინა, ადამიანთა ტანსაცმელი, მათი სხეულის ფორები, ტვინი, სურვილები, აზრები...

ამ ქუჩებში კარების ბნელი ღრუები დაჩირქნებულ ჭრილობებს გვანან. რიცა კარებში შეიხედავ და დაინახავ მტვრით დაფარულ კიბეთა ჭუჭყიან საფეხურებს, გგონია, რომ იქ, შიგნით, ყველაფერი ბარწყნილა და დამპალა, როგორც მკვდრის გვამში. ხოლო ადამიანები მატლებად წარმოგიდგებიან...

შაეთვალა მაღალი ქალი კარებში გაჩერებულა, ხელში ბავშვი აუყვანია, კოფთა გახსნია, უმეოდ დამვეია გრძელ პარკებივით ლუკრი ძუძუები. ბავშვი ყვირის და უკაურავს მოდუნებულ მშიერ სხეულს, ტუჩს უჯიქინებს ძუძუს, პირს აწკლატუნებს, წუთით გაჩუმდება და კვლავ უფრო აყვირდება, ხელებსა და ფეხებს სცემს დედას მკერდსა: იგი კი დგას, ვით გაქვავებული, თვალები დამრგვალებია, როგორც ჭოტს — საღდაც ერთ წერტილს მიშტერებია. გრძნობ, რომ ეს ცქერა ვერაფერს ვერ დაინახავს, გარდა ჰაერისა. ქალს ტუჩები მოუკუმავს და ცხვირით სუნთქავს, ნესტებები უცახცახებს, რა კი ქუჩის სუნიან სქელ ჰაერს ყნოსავს; ეს ადამიანი ცხოვრობს იმ საკმლის მოგონებით, რომელიც გუშინ გადაუყლაპავს, ცხოვრობს ოცნებით იმ ლუკმაზე, რომელიც შესაძლოა, როდისმე შეჭამოს. ბავშვი ყვირის და იკრეჩხება მისი პაწია, ყვითელი სხეული,— დედას არ ესმის მისი ყვირილი, ვერ გრძნობს მის დარტყმას.

მტაცებლური სახის მოხუცს, ბრძელსა და გამხდარს, ჭაღარა-თმიანსა და უქუდოს, — დაავადებული თვალების გაწითლებული ქუთუთოები მოუჭუტავს და ფრთხილად იჩჩრიკება ნაგვის გროვაში, ქვანახშირის ნატეხებს არჩევს. როცა ახლოს მიელტ, ტლანქად, მგელივით, მთელი ტახით შემობრუნდება და რაღაცას ამბობს.

ჭაბუკი, მეტად ფერმკრთალი და გამხდარი, ფარნის ბოძს მიყრდნობია, ჭროღა თვალები ქუჩისთვის გაუშტერებია და დროდადრო ხუჭუტა თავს აქნევს. ხელები ღრმად ჩაუწყვია შარვლის ჯიბეში და თითებს კრუნჩხვითი ანძრევს... აქ, ამ ქუჩებში, ადამიანი შესაჩნევია, ისმის ხმა ხმა, გაბოროტებული, გაღიზიანებული, შურისმგებელი. აქ ადამიანს აქვს სახე—მშიერი, აღელვებული, დანაღვლიანებული. ჩანს, რომ ადამიანები გრძნობენ, ეტყობა, რომ ისინი ფიქრობენ. ისინი ფუსფუსებენ ჭუჭყიან თხრილებში, ეხახუნებიან ერთმანეთს, როგორც ნაგავი მღვრიე წყლის ნაკადზე; მათ ატრიალებს და აბრუნებს შიმშილის ძალა, სულს უდგამს მწვავე სურვილი — შეჭამონ რაგე.

საზრდოს მოლოდინში, მაძღრად ყოფნის სიამეზე ოცნებაში, ისინი ყლაპავენ ზზამით გაჯერებულ ჰაერს და მათი სულის ბნელ სიღრმეებში იბადებიან მწვავე აზრები, ეშმაკური გრძნობები, დანაშაულებრივი სურვილები.

ისინი გვანან ავადმყოფობის აღმძვრელ მიკრობებს ქალაქის კუჭში, და დადგება დრო, როცა ისინი იმავე შხამებით მოწამლავენ მას, რომლებითაც იგი ასე უხვად ასაზრდოებს ახლა მათ!

ფარანთან მდგომი ჭაბუკი დროდადრო იქნევს თავს, მაგრამ აღრჭიალებს მომშეული კბილებს. მე მგონია, მესმის, თუ რაზე ფიქრობს იგი, რა სურს—მას სურს ჰქონდეს საშინელი ძალის უზარმაზარი ხელები და მხრებზეც ფრთები, მე მგონია, ეს სურს. და ეს იმისათვის, რომ ერთხელ დღისით აფრინდეს მაღლა, ხელები ორი ფოლადის ბერკეტი-ვით ჩაჰყოს ქალაქში და იქ ყველაფერი მტვრად და ნაგვად აქციოს, აურიოს ერთმანეთში,—აგური და მარგალიტი, მონათა ოქრო და ხორცი, მინა და ძილიონერები, ჭუჭყი, იდიოტები, ტაძრები, ხეები, ეშეკეთი მოწამლული ხეები, და ეს სულელური, მრავალსართულიანი „ცათამბრჯენები“, ყველაფერი, მთელი ქალაქი—ერთად მოაზილოს, ისევ ბინერ ქალაქი—ერთად მოაზილოს ადამიანთა ჭუჭყი და სისხლი — მოზილოს ბილწ ქოსად. ეს საშინელი სურვილი ბუნებრივია ჭაბუკის ტვინში, როგორც იარა სისხლნაკლულის სხეულზე. სადაც მონებისათვის ბევრი სამუშეაერია, იქ არ შეიძლება იყოს თავისუფალი, შემოქმედებითი აზრი, იქ შეიძლება ყვავოდეს მხოლოდ ნგრევის იდეები, შურისგების შხამანი ყვავიები, ცხოველის მქუხარე პროტესტი. ეს გასაგებია—კაცის სულის დამახინჯებით ადამიანები მისგან შებრალებას არ უნდა ელოდნენ.

კაცს აქვს შურისგების უფლება — ამ უფლებას მას ადამიანები ანიჭებენ.

* * *

დღე ილევა მღვრიე, დამჭვარტლულ ცაში. უზარმაზარი სახლები სულ უფრო ბნელი, მძიმე ხდებიან. აქა-იქ ბნელ წრიალში გაკრთება შუქი, ვით უცნაურ ხმეცთა ყვითელი თვალი, რომლებმაც მთელ ღამეს უნდა უდარაჯონ ამ აკლდამების მკვდარ სიმდიდრეს.

ადამიანები სამუშაო დღე დაამთავრეს და,—არ უფიქრიათ იმაზე, თუ რისთვის შეასრულეს სამუშაო, საჭიროა თუ არა იგი მათთვის — მიისწრაფიან დასაძინებლად. ქვაფენილები გაჭედილია ადამიანთა სხეულის შავი ნაკადებით. ყველას ერთფეროვანი მრგვალი ქუდები ხურავს, და ყველას ტვინს — ეს თვალებში ეტყობამთ — უკვე დაუძინია. სამუშაო შესრულებულია, საფიქრელიც აღარაფერია. ყველანი მხლოდ პატრონისათვის ფიქრობენ, საკუთარ თავზე საფიქრელი არაფერია: თუ სამუშაოა—იქნება პურიც და იაფი სიამეოენელა, გარდა ამისა, კაცს არაფერი არ უნდა ყვითელი ეშმაკის ქალაქში.

ადამიანები მიდიან თავიანთ საწოლებთან, თავიანთ ქალებთან, თავიანთ შამაკაცებთან, და ღამით, დახუთულ ოთახებში, გაოფლიანებულნი და ოფლით გალიპულნი, დაიწყებენ კოცნას, რათა ქალაქისათვის დაბადონ ახალი საკვები...

მიისწრაფვიან. არც სიცილი ისმის და არც მხიარული ლაპარაკი, არც ღიმილი ციმციმებს.

ბოყინებენ აიტომობილები, გაისმის შოლტის ტყლაშუნი, ბოხად მღერიან ელექტრომაგნეტულნი, გრუხუნებენ ვაგონები. ალბათ სადმე მუსიკა უკრავს.

ბიჭები გამწიკანად იძახიან გაზეთების სახელებს. არღნის საზიზღარი ხმა და ვიღაცას მოთქმა ერთმანეთს ერთვის ყვლელისა და ბალაგანის ხუმრას ტრაგიკომიკურ ხვეენაში. მოთენთილი ძიღინ პატარა ადამიანები, — თითქოს გორაკიდან ქვა მოგორავსო...

უფრო და უფრო ხშირდება ყვითელი შუქი—მთელი კედლები აჭრელებულა ცეცხლოვანი სიტყვებით ლუდზე, ვისკიზე, სპპონზე, ახალო სამართებელზე, ქუდებზე, სიგარებზე, თეატრებზე. გრუხუნი რკინისა, რომელსაც ქუჩებში გამალებით მიაგორებს ოქრო, არ ცხრება. ახლა, როცა შუქი ყველგან ანთია, ეს განუწყვეტელი მოთქმა უფრო მნიშვნელოვანია, მას ახალი აზრი, უფრო მძიმე ძალა ენიჭება.

სახლის კედლებიდან, აბრეშიდან, რესტორანთა ფანჯრებიდან ღიღრება გამდნარი ოქროს დამაბრმავებელი შუქი. უტიფარი, მყვინარა, იგი ყველგან ზეიმოენთად ფართქალებს, თვალსა ჭრის, სახეს ამახინჯებს თავისი ცივი ლაპლაპით. ბრი ეერგი ციმციმი გამსჭვალულია მოუკვლელი წყურვილით — ამოკრიფოს ადამიანთა ჯიბეებში მათი ხელფასის უმნიშვნელო ნამეცეცები, — მისი თვალის ჩაკვრა ცეცხლის ასოებად იწერება და ეს სიტყვები უხმოდ იწვევენ მუშებს იაფ ხილიეზე, ტაბლ რაძეებს უქადიან ძათ... ო, რამდენი შუქია ამ ქალაქში! თაკდაპირველად ეს ლამაზი გეჩვენება, აღგაგზნებს, გაგაბნიარულებს. ცეცხლი თავისუფალი სტიქიონია, მზის ამაყი შვილია. როცა იგი ნაირნაირად აყავდება — მისი ყვავილები ცახცახებენ და ოდედამწიოს ყველა ყვავილზე უფრო ლამაზად ცხოვრობენ. იგი სიცოცხლეს განაახლებს, მას შეუძლია მოსპოს ყოველივე ძველი, მკვდარი და ჭუჭყიანი.

მაგრამ როცა ამ ქალაქში შიქს უცქერი, მინის გამჭვირვალე საპყრობილეში რომ მოუქცევიათ, გესმის, რომ აქ—როგორც ყოველივე — ცეცხლიც დამონებულია. იგი ემსახურება ოქროს, ცოცხლობს ოქროსთვის და მეტად დაშორებულია ადამიანებს...

როგორც ყოველივე—რკინა, ქვა, ხე — ცეცხლიც შეიქმნა ადამიანის წინააღმდეგ, აბრეშავებს მას და ეძახის:

— აქ მოდი!

და სკინცლავს:

— მოიტა შენი ფული!...

ხალი ისწრაფვის მის ძახილზე, ყიდულობს უსარგებლო ნაყარ-ნუყარს და უცქერის სანახაობას, რომელიც მას ალეხავს.

ასე გგონია, სადღაც, ქალაქის ცენტრში ვნებიანი ღრეტუნით და საშინელი სიხარით ტრიალეს ოქროს ღიდი ბუნდა, იგი ყველა ქუჩაში აფრქვევს ოქროს მტვერს და მთელ ღიეს ადამიანები ხარბად იბერენ, ეძებენ, ეტაკებენ ამ ოქროს მტვერს. მაგრამ აი დადგა საღამო, ოქროს გუნდა უკუღმა იწყებს ტრიალს, ქმნის ცივი ცეცხლის ქარიშხალს და შიგ ითრევს ადამიანებს, რათა მათ დაუბრუნონ მას დღისით დაკერილი ოქროს მტვერი. ისინი ყოველთვის მეტს აძლევენ, ვიდრე მიიღეს, და მეორე დილას ოქროს გუნდა წონაში მატულობს, მისი ტრიალი უფრო ჩქარი ხდება, უფრო ხმამაღალ გაისმის რკინის, მისი მონის, ზეიმოვანთ ღრიალი, რახრახი ყველა ძალთა, მას რომ დაემონებინა.

და უფრო ხარბად, მეტი ძალაფლებით, ვიდრე გუშინ, იგი წუწნის ადამიანთა სისხლსა და ტვინს, რათა საღამოს ეს სისხლი, ეს ტვინი კვე, ყვითელ ლეთონად იქცეს. ოქროს გუნდა ქალაქის გულია. მის ძგერაშია მთელი ცხოვრება, მისი მოცულობის ზრდაშია მთელი მისი აზრი.

ამისათვის ადამიანები მთელ დღეებს თხრიან მიწას, ჭედენ რკინას, აშენებენ სახლებს, სუნთქავენ ბოლიან ფაბრიკებში, სხეულის ფორებით იწოვენ მოწამლულ, დაავადებულ ჰაერს, ამისათვის ყიდიან ისინი თავის ლამაზ სხეულს.

ეს სძაგელი თილისმა აძინებს მათს სულს, იგი ადამიანებს მოქნილ იარაღად ხდის ყვითელი ეშმაკის ხელში, აქცევს მაგნად, საიდანაც იგი დაღაღავად ადნობს ოქროს, თავის სისხლსა და ხორცს.

* * *

ოკეანის სივრცეებიდან მოდიხ ღამე და ქალაქს გრილ, მლაშე ნასუნთქს აფრქვევს. ათას ისრად ეჩქმა მას ცივი შუქი—იგი მაინც მოდის, ღმობიერაო ზვევს წყვდიადის საბურველში სახლთა სიმახინჯეს, ვიწრო ქუჩების სისაძაგლეს, მალავს სიღატაკის ძონძების

ᲕᲐᲠᲗᲝᲚ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ 1949 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

30-31 მარტს თბილისში შედგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელშაც განიხილა საკითხი — 1949 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად სოციალისტური შეჯიბრების გაძლის შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, რ. შადური, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, ს. იმხანოვი, კ. ციმაკურიძე, ნ. რუხაძე, ი. კოკლამაზაშვილი, მ. ლელაშვილი, ა. მგელაძე, კ. ბეჭვაია, ა. იმნაძე, ს. ჭელიძე** და სხვები.

დღის წესრიგში დასმულ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **ვ. ალავიძემ.** მან შეაჯამა 1948 წლის მუშაობის შედეგები და ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რაც მიმდინარე წლისათვის დასახულია კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

ამხ. ალავიძის მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თათბირზე გამოსულმა უხვი მოსავლის ოსტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, ილაპარაკეს იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებით ყოველწლიურად მოჰპავთ მაღალი მოსავალი, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ისინი წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მოწინავე ადამიანების სიტყვებში ნათლად გამოსჭვიოდა საკუთარი ძალების მტკიცე რწმენა, ნათესთა დიდ ფართობებზე წელს უხვი სტალინური მოსავლის მოყვანის მტკიცე რწმენა.

ტრიბუნაზეა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **მ. ორაგველიძე.** მან თათბირის მონაწილეებს მოუთხრო, თუ რა ღონისძიებათა განხორციელებით იღებს კოლმეურნეობა ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა კულტურების დიდ მოსავალს და განაცხადა: "წარშან 152 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობამ მოიყვანა 4.435 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ცალკეული ბრიგადები და რგოლები 8-12 ტონა ჩაის ფოთოლს იღებენ. წარშან კოლმეურნეობამ მიიღო 8 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი. შრომადღეზე კოლმეურნეებს ხვდათ 28 მანეთი. ამკვამად კოლმეურნეობაში მილიონერი ბრიგადებიც კი გვყავს, ამასთანავე **ვიბრძვით იმისათვის, რომ ახლო მომავალში ყველა ბრიგადა იყოს მილიონერი.** კოლმეურნეობაში კარგად არის მოწყობილი შრომა. ბრიგადირებად და მერგოლურებად მუშობენ ბეკოდილი და უხარიანი კოლმეურნეები. ჩაის მოსავლიანობის გადიდებით კოლმეურნეთა დაინტერესება დიდად ამაღლა ბრიგადებსა და რგოლებში მოეკლა-პატრონობისათვის ჩაის ცალკეული ნაკვეთების ინდივიდუალურად მიჩენამ. რგოლში ჩაის პლანტაციის თვითეული ნაკვეთი 3.000 კვადრატული მეტრიდან 6.000 კვადრატულ მეტრამდე — მეშაკის უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით—მიჩენილი აქვს თვითეულ კოლმეურნეს.

დიდი ყურადღება ექცევა სტახანოვურ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ გატარებას. ჩაის პლანტაციებს ყოველწლიურად 3-4-ჯერ ვთოხნით, შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები. ჩაის საზამთრო სამუშაოს თავის დროზე ვასრულებთ, რაც დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის გადიდებას. გულმოდგინედ ვსხლავთ ჩაის პლანტაციებს. გასხელა ისე წარმოებს, რომ მცენარეს შეეუნარჩუნოთ შესაფერისი ფორმა, ვაქრით დაზიანებულ, დაავადებულ, გამხმარ და ხნიერ, ზედმეტ ტოტებს. კოლმეურნეობაში დახარგილია ჩაის განუწყვეტელი, ყოველდღიური კრეფა, რის გამო თავიდან არის აცილებული ჩაის ფოთლის გაუხეშება და აღკვეთილია დანაკარგი.

ჩვენ გამოყოფილი გვაქვს 100 ჰექტარი ჩაის უხვმოსავლიანი ნაკვეთები. ამ ნაკვეთებში წელიწადში ხუთჯერ შეგვაქვს წუნწუხი (ნაკელ-წყალი), აზოტოვანი სასუქი სამ დოზად. ეს პლანტაციები ითოხნება 6-ჯერ. ჩვენში წვიმა ხშირია, მაგრამ ზოგჯერ გაზაფხული გვალვიანია. მაგალითად, წარშან გვალვა იყო ჩაის ზრდა-განვითარების დროს. ეს კი ჩაის ფოთლის მკვეთრ შემცირებას იწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ელენე ხელაძის რგოლში პლანტაციებში გაიყვანა მილები და პირველად ჩვენს პრაქტიკაში, წარშან დიდი გვალვის დროს მორწყო რგოლისათვის მიჩენილი ჩაის ნაკვეთები. მორწყვამ საკვირველი შედეგი მოიტანა. ჩვენი კოლმეურნეობა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითების საფუძველზე უფრო ფართოდ გამოიყენებს მორწყვას. საამისოდ ჩვენ ამთავითვე ვემზადებით.

კოლმეურნეობა ენერგიულად ემზადება წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად. ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები ძალდინარეობს.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი მოსავლისათვის და იკისრეს წელს 5.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანონ 152 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, მოიწიონ 7 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი, გააშენონ ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ახალი პლანტაციები, გაზარდონ კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ღირებულება.

თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის" თავმჯდომარეს ამხ. **შ. ქევნიშვილმა** თათბირის მონაწილეებს გაუზიარა კოლმეურნეობის შუამავის გამოცდილება ვაზის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მან განაცხადა: ვაზი დიდ შრომას მოითხოვს. ამიტომაც ჩვენთან ვენახებში ბრიგადები და რგოლები განუწყვეტლივ, წლის ყველა დროში მუშობენ, ვაზს სისტემატურად უვლიან. ვენახები დროულად ითოხნება, შეგვაქვს მინერალური და ორგანული სასუქები, სეირიოზულ ყურადღებას ვაქცევთ ვაზის წამლობას. კოლმეურნეობაში გაძლიერებული ტემპით წარმოებს საგაზაფხულო სამუშაოები. საკოლეგიურო ბრიგადებსა და რგოლებს მიეცათ დაკალენი ვაზის მოსავლიანობის გადიდების დარგში. ვაზის გასხვლა სათუთი და ამასთან მეტად პასუხსაგები სამუშაოა. გასხვლა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ აგროტექნიკურ ღონისძიებას, რომლის საშუალებით მყარდება სასურველი შეფარდება ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას შორის. ჩვენთან ადგილი არა აქვს ვაზების გადატვირთვას. თვითეულ ვაზს გასხვლისას ინდივიდუალურად ვუდგებით, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით ვსხლავთ და ზტამბს ნორმალური განვითარების საშუალებას ვაძლევთ. სუსტად განვითარებულ ვაზს ვსხლავთ სამაშულე, რათა მას გამაგრების საშუალება მიეცეს.

ვენახებში 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შეტანილია 40 ტონაზე მეტი ნაკელი, მომზადებულია საჭირო რაოდენობით ბიგო. წელს ვაზს გავაშენებთ 20 ჰექტარზე, სადგდეს 3 ჰექტარზე.

დროულად ვასრულებთ მწვანე ოპერაციებს, როგორიცაა ვაზის გაფურჩქნა, წვეროების წაწყვეტა, ნამხრეგების შეცლა და თავების გადაჭრა. დაწყებულია ვაზის მყნობა. დავამყნოთ 200.000 ძირ ვაზს. ჩვენთან ვაზის მყნობა და მისი სანერგეში მოვლა მინდობილი აქვს გამოცდილ, მცოდნე კოლმეურნეებს. ამიტომაც ნამყენის გახარების პროცენტიც მაღალია. გამოყოფილია სპეციალური რგოლი მყნობის მცოდნე პირის მეთაურობით, რომელსაც დაკისრებული აქვს ნამყენების გამოყვანის მთელი ორგანიზაცია და ყოველგვარი საჭირო სამუშაოს შესრულება. შრომის განაწილების ასეთი წესი საგრძნობლად უწყობს ხელს მყნობის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას და, რაც მთავარია, გახარების პროცენტის გადიდებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში გადაუდებელ ამოცანად დაგვისახა ყურძნის მოსავლიანობის გადიდება. ამ მითითების შესასრულებლად ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს 130 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 55 ცენტნერი ყურძენი და 40 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე კი—80 ცენტნერი. ამ პირობას შევასრულებთ.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის ორგანიკიძის სახელობის კოლმეურნეობას დიდი გამოცდილება აქვს თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და ჯანსაღი ჩითილის გამოყვანის საქმეში. კოლმეურნეობა ყოველწლიურად იღებს უხვ და მყარ მოსავალს. ამ გამოცდილებაზე მოუთხრო თათბირის მონაწილეებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ტოლლიკაშვილმა.** მან თქვა: ჩვენი გამარჯვების საწინდარია შრომის სწორად მოწყობა, მტკიცე შრომის დისციპლინა, პატიოსანი მშაობა, აგროტექნიკის მოთხოვნათა ზუსტად დაცვა. თამბაქოს ნაკვეთები ინდივიდუალურად მოგლისათვის ბრიგადებსა და რგოლებში მიჩენილი აქვთ ცალკეულ კოლმეურნეებს. თვითეულ მისი ცოდნა-გამოცდილებისა და უხარის მიხედვით მიჩენილი აქვს ნახევარი ჰექტარიდან 0,75 ჰექტარამდე ნაკვეთი. თამბაქო ირგვება მზრალად მოხნულ მიწაზე. შარშან თვითეულ ჰექტარ პლანტაციაში შევიტანეთ სამი-სამნახევარი ცენტნერი მინერალური სასუქი. თამბაქოს რგვა წარმოებს აგროტექნიკით დაწესებულ და პრაქტიკულად შემოწმებულ საუკეთესო ვადებში — 10 აპრილიდან 10 მაისამდე. არ გვქონია შემთხვევა, რომ რგვა ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელებულიყოს.

წელსაც კარგად ვემზადებით, — თქვა შემდეგ ამხ. ტოკლიკაშვილმა, — ნაცასუქი შეტანილია პლანტაციებში, ნიადაგი საუკეთესოდ არის დამუშავებული, მთელი თამბაქო დაირგვება მზრალად მოხნულ ფართობზე. ჯანსაღი ნერგის მისაღებად სათბურებში თამბაქო გეგმის გადამეტებით დაითესა. ღია ველებშიც თავის დროზე დათესა თამბაქო.

უხვი მოსავლის მოსაყვანად წელს თვითეულ ჰექტარზე შეტანილია სამი-სამნახევარი ცენტნერი სუპერფოსფატი და ერთი-ერთნახევარი ცენტნერი აზოტოვანი სასუქი. ახლა კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ 39 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 30 ცენტნერი თამბაქო.

გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობა „წითელი მერეთის" თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მეცხვარიშვილმა** ილაპარაკა მეხლეოობაში მიღწეულ წარმატებებზე. მან განაცხადა: კოლმეურნეობამ 70 ჰექტარი მსხმოიარე ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე შარშან საშუალოდ 67 ცენტნერი ხილი მოიწია. კოლმეურნეობის შემოსავალი მეხილეობიდან ერთ მილიონ მანეთს აღემატება. შექმნილია ხეხილების სპეციალური ბრიგადები და რგოლები. რგოლების შიგნით თვითეულ წევრს მიჩენილი აქვს ხეები ინდივიდუალური მოვლისათვის. ჩვენთან კარგი მოვლით აღკვეთილია ხილის მეწლეობა. რაგორც ცნობილია, მაგნეზელები დიდად ამცირებენ ხილის მოსავალს. ამიტომაც ორგანიზებულ ბრძოლას ვაწარმოებთ მაგნეზელთა მოზამთრე ბუდეებისა და ხვეების დაგავადებული ნაწილების გასაწმენდად. იმ ბრიგადებსა და რგოლებს, რომელნიც ხეზე არ ტოვებენ არც ერთ მოზამთრე ბუდეს და სხვა ღონისძიებებსაც კარგად ახორციელებენ, ხილის უხვი მოსავალი მოჰყავთ. ბაღის გასხელას ასე ვაწარმოებთ: ხეებს ვაცლით დაზიანებულ და ზედმეტ ტოტებს. ხეხილის ყოველ ტოტს ინდივიდუალურად ვუდგებით და ისე ვასრულებთ ამ სამუშაოს, რომ უზრუნველვყოთ წლიანი ნაზარდების გადაქცევა სანაყოფე ტოტებად, გასხვლის შემდეგ ხეებს ჩამოვრეცხავთ ხუთპროცენტიანი ძაღის ხსნარით. შემოდგომაზე ბაღში შეგვაქვს 30-40 ტონა ნაკელი ჰექტარზე, ვიყენებთ მინერალურ სასუქს, ხეხილის ბაღებს სისტემატურად ვამუშავებთ. გაზაფხულზე ვაწყობთ ბაღის მაგნეტელ ბოგანოს წინააღმდეგ ბრძოლას ხეების საფეხუნ დაბერტყვის გზით. ხილს ეკრიფთ დროულად, ფრთხილად და ამის გამო ნაყოფი არ ზიანდება.

ბათუმის რაიონის ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა **აიშე მაჰუტაძემ** თათბირის უამბო, რომ მისი რგოლი დაუღალავი მუშაობით ყოველწლიურად ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. მან სიტყვა მისცა თათბირის მონაწილეებს, რომ შემდეგშიც იბრძოლებს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ძ. რიგვავა** რამდენიმე წლის მანძილზე სიმინდის დიდ მოსავალს იღებს. მისი ბრიგადა განთქმულია მთელ აფხაზეთში. შარშან მან ჰექტარზე საშუალოდ მისთვის მიჩენილ ნაკვეთიდან 1.250 ფუთი სიმინდი მოიწია. თათბირმა დიდი ინტერესით მოისმინა ამხ. რიგვავას სიტყვა. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც წლითიწლობით ახორციელებს სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად. ნიადაგს კარგად დამუშავება, სიმინდის თესვა მზრალად ბოხნულ ნიადაგზე და საუკეთესოდ გადარჩენული თესლით, ნაკვეთების 4-5-ჯერ დამუშავება, წუნწუხით მორწყვა, ნთესილს ქარისაგან დაცვა, დამტვერიანების გამოყენება — აი ძირითადად ის სტახანოვური აგროტექნიკური ღონისძიებანი, რითაც ამხ. რიგვავას ბრიგადა აღწევს წარმატებას.

ამხ. რიგვავამ განაცხადა, რომ ბრიგადას შეუძლია კიდევ უფრო გაადიდოს სიმინდის მოსავლიანობა. მან ბრიგადის წევრთა სახელით სიტყვა მისცა თათბირს, რომ 36 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 630 ფუთ სიმინდს, ხოლო პირადად მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე — 1.350 ფუთს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანმა ამხ. **ე. ტაკიძემ** თათბირის მოუთხრო, თუ როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან ქობულეთელი მშრომელები ჩაის, ციტრუსების უხვი მოსავლის მოსაყვანად. მან აღნიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობის დიდ სტიმულს აძლევს მოსავლიანობის გადიდების ახალ შესაძლებლობათა გამოსავლინებლად. ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში მინერალური სასუქების ეფექტიანი გამოყენება დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის გადიდებას. შარშან, მაგალითად, ციტრუსოვანთა პლანტაციებში აზოტოვანი სასუქები შეტანილი იქნა პირველ და მეორე დოზად, აგრეთვე შეტანილი იყო კალიუმის სასუქიც. ამან შესანიშნავი შედეგი მოგვცა. ამასთანავე კოლმეურნეები ციტრუსოვანთა პლანტაციებს ანოყიერებენ ნაკელით, ტუნგოს ნარჩენით, მდინარის შლამით და წუნწუხით.

ამხ. ტაკიძემ თათბირს მოუთხრო მოწინავე ციტრუსეულ კოლმეურნეთა გამოცდილებაზე, თუ რა შეგვიფერ შედეგს იძლევა ნიადაგის დამუშავება (ტენის შენარჩუნება). რაიონში წვიმა ხშირადაა, მაგრამ ზოგჯერ მაისისა და ივნისის თვეები გვალვიანია. სწორედ ამ დროს ხდება ციტრუსოვანთა მასობრივი ყვავილობა და ბამონასკვა. ამის გამო ნასკვები სცვივა და, ცხადია, საგრძნობლად მცირდება მოსავალი. დამულჩვა მნიშვნელოვანი ღონისძიებაა გვალვისას ნასკვების შესანარჩუნებლად და მაშასადამე, ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის გასადიდებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი შედეგი მოგვცა 10 სანტიმეტრი სისქის საფარის მოწყობამ. ამხ. ტაკიძემ განაცხადა, რომ ქობულეთელებმა გადაწყვიტეს წელს ჩაის, ციტრუსების უხვი მოსავლის მოსაყვანად სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვიონ მახარაძის რაიონის მშრომელები.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ამხ. **ტარიანა ხუხუამ** თათბირს გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება. მან განაცხადა: შარშან მოსავლელად გვქონდა 10 ჰექტარი სასიმინდე ფართობი. ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანეთ 49 ცენტნერი სიმინდი. ნაკვეთები რგოლში მიჩენილი აქვთ ცალკეულ კოლმეურნეებს. სიმინდი თესესა კარგად დამუშავებულ მიწაზე. ნიადაგი იხვნება იანვარსა და თებერვალში, მეორეჯერ ვხნავთ 20 მარტამდე. სიმინდის თესლს საგულდაგულოდ ვარჩევთ, თესვის დაწყებამდე 10 დღით ადრე ვიღებთ ბუდნებს და სიმინდს ბუდნებად ვთესავთ, თითო ბუდნაში 2-3 თესლს. ჰექტარზე ვინარჩენებთ 35-45 ათას ძირ სიმინდს. ყანაში შეგვაქვს შლამი, სიმინდს ოთხჯეროჯერ ვთოხნით, მათგან — პირველად მცენარის ორი ფოთლის გამჩენისთანავე. ყანას ვრწყავთ ნაკელწყლით სამჯერ.

სტალინის რაიონის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ქრისტესიაშვილმა** თავისი გამოსვლა მოუძღვნა იმას, თუ როგორ მოემზადნენ ერედველები საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. მან აღნიშნა, რომ მარცვლეული კულტურების დასათესად ნიადაგი მზრალად მოხნულია, მიწა კარგად არის დამუშავებული. მომარაგებულია საუკეთესო ხარისხის თესლი. საკოლმეურნეო ინვენტარი სრულ წესრიგშია. მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. შედგენილია კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა 1949 წლისათვის, დაკალენი ბრიგადებისა და რგოლებისათვის. თვითეულმა კოლმეურნემ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დროს. ბრიგადებსა და რგოლებში ძალები ისე არის განაწილებული, რომ ყველა სამუშაოს შესრულება მოკლე ვადაში მოხდება. ზამთრის გაჭიანურების გამო გაკეთდა ადრეწინეთი თვითეული წვრილშანიც კი, რომ თესვა დავამთავროთ უადრესად მოკლე ვადაში აგროტექნიკურ მოთხოვნათა შესაბამისად.

უხვი მოსავლის მოყვანის გადამწყვეტი ღონისძიებაა ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვა და ათვისება. სწორი თესლბრუნვის გასტარებლად აუცილებელია მრავალწლიანი ბალახების თესლი. ამ სწორი გზით აღწევს ყვარელის რაიონის სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ხორბლისა და სიმინდის დიდ მოსავალს არა ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ ნათესთა მთელ ფართობებზე. ამ საინტერესო მუშაობის შესახებ ილაპარაკა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. **ს. ბუჯღიაშვილმა.** მან თქვა: ჩვენთან შემოღებულია 10-მინდვრიანი თესლბრუნვა. ზუსტად არის დაცული კულტურების განლაგება და შენაცვლება თესლბრუნვის მინდვრებში. მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი მრავალწლიანი ბალახების მეურნეობას. ესპარცეტის მოყვანამ ნიადაგიც განაყოიერა და მეცხოველეობის საკვები ბაზაც გააძლიერა. ნაწვერალზე თესვამ, ანუ ხორბლის და ქერის შემდეგ სიმინდის თესვამ კარგი მოსავალი მოგვცა ვეკვლის პირობებშიც კი. საშემოდგომო პურეულის ნათესებს დამატებით ვაკვებავთ, რაც ზრდის მოსავლიანობას. ჯეჯილის ყოველთვის დამუხლებამდე ვმარგლით. ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილების პასუხად მიღებულია ენერგიული ზომები მარცვლეულის ნათესთა გასაფართოებლად. წელს კოლმეურნეობა ამ მიზნით დამატებით აითვისებს 300 ჰექტარზე მეტ მიწას.

ამხ. ბუჯღიაშვილმა განაცხადა, რომ სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა უხვი მოსავლის მოსაყვანად სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ყვარლის რაიონის სოფელ არხილოსკალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის და სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკს".

უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების დანერგვაზე ილაპარაკა საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანმა ამხ. **ა. ჭეჟეიამ.** მან აღნიშნა, რომ რაიონში ბევრნი არიან სოფლის მეურნეობის მოწინავენი. მათი გამოცდილების დანერგვას ჯერჯვან ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა საკოლმეურნეო მინდვრებზე დანერგვა, კოლმეურნეობებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა — აი ის, რითაც გალის რაიონი ატარებს მოწინავის სახელწოდებას. ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს, რითაც მშრომელები საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს. მარცვლეულაც რაიონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წელს უნდა დაითესოს მარცვლეული კულტურები 9.300 ჰექტარზე. კოლმეურნეობები მზად არიან თესვისათვის. ამხ. ჭეჟიამ რაიონის მშრომელთა სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზუგდიდის რაიონი.

სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიბაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **აგრაფინა ვაშაკიძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმას, რომ დაუღალავი შრომით, მოწინავე ხერხების გამოყენებით, მან გასულ წლებში აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი მოიყვანა და წელსაც ერთ კოლოფ თესლზე მოიყვანს 50 კილოგრამ აბრეშუმის პარკს, ამასთანავე თავის გამოცდილებას გაუზიარებს და დაეხმარება სხვა კოლმეურნეებს მოსავლიანობის გადიდებაში.

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. წიქარიშვილმა** აღნიშნა, რომ კოლმეურნეობა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო სამუშაოებს. ახლა მეტი შესაძლებლობაა მოსავლიანობის გასაღიდებლად. მორწყვის საქმის გაუძჯოლესება, რამიც ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია მთავრობამ, სეირიოზულად შეუწყობს ხელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებას.

წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა აგრონომმა ამხ. **ი. ზედგინიძემ** ილაპარაკა იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გზით წითელწყაროელები აღწევენ პურის კარგ მოსავალს. ამ ბოლო წლებში მეტი ყურადღება ექცევა თესლბრუნვის განხორციელებას, მტკიცედ არის დანერგული მწკრივად თესვა, პურეული როგორც წესი ითესება მზრალად მოხნულზე, წარმოებს სამშობდგომო ჯეჯილის დამატებითი გამოკვება. ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. პურეულის ნათესი ინარგება. ზამთარში კოლმეურნეობებში მოწყობილი იყო აგროტექნიკური წრეები. კოლმეურნეები გაეცნენ ბუნების გარდამქმნელის ი. მიჩურინის, დიდი რუსი მეცნიერის ვ. ვილიამსის მოძღვრებას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ პურეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

ლაითურის რაიონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **შ. გოგეშვილმა** აღნიშნა, რომ ჩაის პლანტაციები კარგად არის მოვლილი, ბრიგადები და რგოლები სწორად არის დაკომპლექტებული. სპეციალისტები ეხმარებიან მუშებს მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა დანერგვაში. მოწინავე მუშების, რგოლების გამოცდილებას ყველა ბრიგადა, რგოლი და მუშა სწავლობს. მეურნეობის საწარმოო თათბირებზე მოწინავენი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, სახავენ ღონისძიებებს მუშობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მეურნეობას დასჭირდება მეტი იზრუნოს პლანტაციების მუშახელით სრულად უზრუნველსაყოფად, საბინაო შენებლობის ტემპის გასაძლიერებლად. ჩვენი მეურნეობის კოლექტივი არაფერს დაიშურებს იმისათვის, რომ წელს 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიყვანოს 900 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე და ამ ვალდებულების უკეთ განხორციელების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. **ს. საყვარელიძემ** თათბირის მონაწილეებს გააცნო, თუ რა ღონისძიებათა განხორციელებით მოჰყავს რაიონს უურძნის უხვი მოსავალი. ზესტაფონელები ვაზს წესიერად სხლავენ. შარშან ვენახებში 12.000 ტონა ორგანული და 5.000 ტონა მინერალური სასუქი შეიტანეს. დამატებითი გამოკვება წუნწუხით წესად არის შემოღებული მოწინავე კოლმეურნეობებში. ვენახები სამჯერ გაითოხნა. მწვანე ოპერაციები — გაფურჩქნა, ცის გახსნა და აგრეთვე წამლობა ხდება თავის დროზე და მაღალხარისხოვნად. შემდეგ ამხ. საყვარელიძემ განაცხადა, რომ კარგად მიმდინარეობს ვაზის მყნობა, მალე ფართოდ გაჩაღდება ყველა სამუშაო. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სოფლის მშრომელები კვლავაც დაუღალავად იმუშავებენ იმ პასუხსაგები ამოცანების განსახორციელებლად, რაც მათ დაუსახა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ. რაიონში დიდი შესაძლებლობაა ვენახების ფართობთა და მოსავლიანობის გასაღიდებლად. ზესტაფონელები არ დაიშურებენ თავიანთ ძალასა და გამოცდილებას ამ შესაძლებლობათა მთლიანად გამოსაყენებლად. ჩვენი რაიონის მშრომელები წარშან მევენახეობის ახალი აღმავლობისათვის ეჯიბრებოდნენ გურჯაანელებს. შეჯიბრებამ მრავალი მოწინავე ადამიანი გამოავლინა. რაიონის მშრომელთა გადაწყვეტილებაა წელსაც გაგაჯიბრონ სოციალისტური შეჯიბრება გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. ბაირამიანმა** განაცხადა, რომ ბამბის კულტურის მოყვანას კარგად დაეუფლნენ მოწინავე კოლმეურნეები. ყველა პირობა არის რაიონში ბამბის კულტურის განვითარებისათვის. კოლმეურნეები მზად არიან ბამბის დასათესად. თესვა დაიწყება 10 აპრილიდან და დამთავრდება დაწესებულ ვადაში. მარნეულელები მთელი ენერგიით იმუშავებენ, რათა 2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 16 ცენტნერი ბამბა.

კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობის" თავმჯდომარემ ამხ. **ა. ზავრადაშვილმა** თათბირს მოუთხრო იმაზე, თუ როგორ გადიდა კოლმეურნეობამ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა. უწინარეს ყოვლისა, ეს ღონისძიებანია ჭარხლის თესვა მზრალად მოხნულ ნიადაგზე, მიწის წესიერად დამუშავება (რაც ხელს უწყობს წყლის დაგროვებას და შენარჩუნებას, შესაძლებელს ხდის იმას, რომ ნიადაგში კარგად ატანდეს ჰაერი, ეთთარდებოდნენ ფესვები), დროულად თესვა, აღმონაცენის მსუბუქი გაფხვიერება,

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეები ამბროლაურის რაიონიდან. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სოციალისტური შრომის გმირები: ი. ჩაჩავა, ს. ხარებავა, ე. ორველაძე და ი. ხოსტარია.

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი. სურათზე: მეთამბაქოე სოციალისტური შრომის გმირები (ლაგოდეხის რაიონი) მარცხნიდან მარჯვნივ: გ. ნატრიშვილი, ი. ბარნაბიშვილი, ე. კაპარიძე, ვ. გოგოლაძე და ე. სამარკულ

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1949 წელს უხვი სტალინური მოსავლის მისაღებად

(დასასრული)

ჭარხლის მწკრივების გამოჩენისთანავე გამოხმირეა, (რის ამოცანასაც წარმოადგენს სწორად და თანაბრად განაწილდეს ყველაზე უფრო ძლიერ მცენარეთა საკირო რაოდენობა), ჭარხლის შემოწმება და მწკოვეთა‘მორის გაფხვიერება, მეეზოურთა დამატებითი გაფოკვება. მავეიტლეთან საბრძოლველად ხათესის ირგვლივ ამოვიღეთ თხრილები, ხოლო პლატიკეიებში მოვაწყეთ მავნებლების მისატყუებელი. ძიგალწიეთ იცის, რომ ჰექტარზე შევინარჩუნეთ 100.000 ძირი ჭარხალი. სწორედ ძირთა ოაოდენობა წყვეტს ჭარხლის უხვი მოსავლის ბედს. ძოსავალს უდანაკარგოდ ვიღებთ. ჩვენს კოლმეურნეობაში მერგოლურად ძუშობს ცხობილი მეჭარხლე ამბ. სოფიო მარიდაშვილი. მისი ბამოცდილება გვეხმარება მოსავლიანობის გადიდებაში. ჩვენ უფრო ფართოდ ფავნერგავთ ამბ. მარიდაშვილის ძეირფას გამოცდილებას. წყალსატუმბავის მშენებლობის საშუალებით წელს ავითვისებთ 150-200 ჰექტარ ახალ მიწას აკჰარხლეგდ. შაკრის ჭარხლის თესვა უკვე დავამთავეთ. შარშანდელზე უკეთ მოვუვლეთ ნათესებს და 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანეთ 500 ცენტნერ ჭარხალს.

ახალი მიწების ათვისების საკითხზე ილაპარაკა ხობის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა აგრონომმა ამბ. **ე. ოისავამ.** მან თქვა: კოლხეთის ზონა მდიდარია მიწებით. რაიონის მოწონავე კოლმეურნეობები შეუდგნენ ეხერგიულ საშრადისს ბუჩქნარების გასაკაფავად და ახალი მიწების ასათვისებლად. წელს ხობელები 1.900 ჰექტარ მიწას ათვისებენ, რაც დიდძალ დამატებით მარცვლეულს მოგვცემს. ამბ. ოისავამ დაასახელა სიმინდის მომყავან მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითები, რომლითაც ცხადყო, რომ სიმინდის მცენარის დამტვერიანებით მოსავალი იზრდება 10-12 პროცენტით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემნდფრეობის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამბ. **ი. ანჯაფარიძემ** განაცხადა, რომ ინსტიტუტი ეხმარება ბარდაბნის კოლმეურნეობებს მიჩეინინული მეცნიერების მიღწევათა დანერგვაში, ნათესბალაზიანი თესლბრუნვის სწორად ათვისების საქმეში. ინსტიტუტი საფუძვლიანად სწავლობს იმ საბრძოლო საკითხებს, რაც მარცვლეულის შემდგომ მძლავრ აღმავლობას შეეხება, აგრეთვე მიჩეინილ პრაქტიკოსების გამოცდილებას, რომელთა განზოგადება გაამრავლებს სოფლად წარჩინებული ადამიანების რიგებს. ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები შემდგომში უფრო გაადილერებენ კოლმეურნეობებთან კავშირს და თავდადებულად იბრძოლებენ დიდი სტალინის ბითითებათა განსახორციელებლად, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. დოლაძემ** აღნიშნა, რომ ჩაი დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეებს. ამიტომ ისინი მზრუნველობით ეკიდებიან ჩაის თვითეულ ბუჩქს. შარშან მარტ პრეზიდა-ზანამატის სახით ჩაისაკენ კოლმეურნეობამ მიიღო 140 ათასი მანეთი. კოლმეურნეობაში ცოტა როდი ისეთი კოლმეურნეები, რომელნიც მნიშვნელოვან ფართობზე საშუალოდ თვითეული ჰექტარიდან იღებენ 6.000-ზე მეტ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ჩვენს კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, რგოლი რგოლს. შეჯიბრების დრიშას აწერია: 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ვალდებულება წარმატებით შეავასრულოთ და ვიყოთ იმ დიდი მზრუნველობის ღირსი, რასაც ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი იჩენენ ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანმა ამხ. **რ. ბიხუშვა** თათბირს უამბო, თუ რა მუშაობას ეწევიან გუდაუთელები თამბაქოს, ციტრუსების, ჩაის, ეკალიპტის კულტურების გასაავთაოოელად. ჩვეულ ოაიოიანი ყველა შეაძლებლობა არსებობს იმისათვის,— თქვა ამხ.,—რომ წელს 1.550 ჰექტარი ფაოთობის თვითეულ ჰექტარზე ძიგიაეგანოთ 10 ცენტნერი თამბაქო, მიეცეთ საამბოლოს 40 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. შემდეგ ამხ. ბიხუაძ თათბირის მონაწილეებს გაუზიარა კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა გამოცდილება ეკალიპტის მოვლისა და გაჩეთარების დარგში. მან აღნიშნა, რომ ეკალიპტი დიდი რაოდენობით ირგვება გზატკეცილების ირგვლივ, მას აშენებენ სკოლებსა და ეზოებში. თვითეულ ძირ ეკალიპტს ატყვია მზრუნველი ხელი. ეკალიპტი შენდება ტყეებად. მალე გუდაუთი ეკალიპტის კორძის, ტყეების ძირითადი ცენტრი გახდება. გუდაუთელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს წელს დარგონ 1.800.000 ძირი ეკალიპტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 380.000-სა. ამ ვალდებულების საუკეთესოდ შესრულებისათვის ჩვენმა რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. მამაიაშვილმა** თათბირზე თქვა: მოწონავეთა შუშობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ჩვენში სიმინდი კარგ მოსავალს იძლევა. საკმარისია ითქვას, რომ 1947-1948 წლებში სიმინდის მოსავალმა ჰექტარზე 21,5 ცენტნერს მიაღწია. მარცვლეული კულტურების დასათესად წელს აკითხესებთ 250 ჰექტარ ყამირს.

ჩვენთან შემოღებულია ათმინდვრიანი თესლბრუნვა, რომელსაც მეცადინეობ დავიცავთ. მრავალწლიანი ბალახები ახლა ითესება 107 ჰექტარზე. მალე ამ ფართობს 230 ჰექტარამდე ავიყვანთ. კარგად ვართ მომზადებული საგაზაფხულო თესვისათვის. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებასთან ერთად თესვის დ გადამწყვეტ დღეებში შუშა პირუტყვსაც გამოვიყენებთ. ვკვაებს 40 გუთნეულით და შეგვიძლია ყოველდღიურად 30 ჰექტარის მოხვნა. მარცვლეული მეურნეობის დარგში უკეთესად ვიმუშავებთ და წარიტებით შეეგასრულებთ საქართველოს ბოლშეკიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებებს, რაც მან მოგვცა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სეირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **ლ. ხიდაშელმა,** ულიანოვკის მტს-ის დირექტორმა ამხ. **ლ. ოლლიშვილმა,** გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **გ. კენჭოაშვილმა,** გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარანის“ თავმჯდომარემ ამხ. **ს. გულაშვილმა,** ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ისაიანმა,** საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. გონგაძემ,** ახალციხის რაიონის სოფელ კარტლანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარემ ამხ. **ა. ჩიტლიანმა,** საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. **გ. ფოფხაძემ,** საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანმა ამხ. **მ. ციხისთავმა.**

თათბირზე ვრეცხა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა **კ. ჩარკვიანმა,** რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა საბრძოლო ამოცანები მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისა და წელს უხვი სტალინური მოსავლის მოყვანის, მეცხოველეობაში სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს პროექტი წერილისა ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მეუხარი, ხანგრძლივი ტაშის გრიალში თათბირის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს დიდ სტალინს.

„სოფოდნეკ სლოეო“ ჩრდილო ამერიკის პაპეს მოუანდოთ ევეუნების ელჩებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ

პრაღა, 1 აპრილი. (საკდესი). ამას წინათ ვიშინტერნში ერთობესეს შეხვედრა ჩრდილო ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნების ელჩები და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის‘ წარმომადგენელები. როგორც ეგზეთ „სოფოდნეკ სლოეოს“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, სარწმენო წყაროებიდან მისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა მოლაპარაკებას ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ, ლაპარაკი იყო ოგრეთვე ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ანტიკომუნისტური პროცესების ინსკენირების მოწყობაზე.

თათბირზე გადაწყდა—გარდა ანტიკომუნისტური პროცესისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოეწყოს ორი ასეთი პროცესი ევროპაში კომუნისტური პარტიებისა და იმ ორგანიზაციებისათვის სახელის გასატეხად, რომელნიც მათ თანაეგრძნობენ. ანტიკომუნისტური პროცესები ისე ენდა მომზადდეს, რომ შესაძლებელი გახდეს კომუნისტურ პარტიებს ბრალად დაედოთ თითქოს „ეოდილაატური საქმიანობა“ ეცხოთის სახელმწიფოს დაეალებათ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი დაპირდა მაშინ სრულ დაბმარებას კომუნისტების წინააღმდეგ ყოველ სახელმწიფოში, რომელიც გადაწყვეტს ანტიკომუნისტური პროცესების ინსკენირების მოწყობას, „სახელის გამტეხ მასალებს“ შერჩევაში. ამ პროცესებისათვის ამზადებენ სპეციალურად შერჩეულ „ეოშშებს“ იმ პირთაგან, რომლებიც ამჟამად გერმანიის ოკუპაციის ამერიკის ზონაში იმყოფებიან. ეს საქმე მინდობილი აქვს ნიუ-იორკში არსებულ ეგრეთ წოდებულ საკვლევ ინსტიტუტს, რომელიც, როგორც კორესპონდენტი შენიშნავს, ნამდვილად ამერიკის სო�laა ჯაშუშების მოსამზადებლად.

ჩრდილო ატლანტიკის პაქტის ქვეყნების ელჩების თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მიაღწიეს მიღწეთ გადაწყვეტილებამ, რომელის თანამბამაოდ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამლიერდება პროპაგანდისტული კამპანია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომდგენელთა წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობამ აკრძალა საპრეზიდენტო დემონსტრაცია ლონდონში

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩიტერ ოდმა თქმა პალატაში განაცხადა, რომ მეჩოდელთ დემონსტრაცია, რომელიც 1949 წლის 1 მაისს უნდა გამართულიყო, აკრძალულია მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით — აიკრძალოს ყველა პოლიტიკური დემონსტრაციები ლონდონის პოლიციის გამგებლობაში მყოფ რაიონში.

პროფკავშირთა ლონდონის საბჭოს პრეზიდიუმი საპრეზიდენტო დემონსტრაციის აკრძალვის წინააღმდეგ

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში პროფკავშირთა ლონდონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ იგი შინაგან საქმეთა მინისტრ ჩიტერ ოდს მიმართავს თხოვნით მიიღოს დელეგაცია, რომელიც მოითხოვს ლონდონში საპრეზიდენტო დემონსტრაციის მოწყობის აკრძალვის გაუქმებას. აღმასკომი აცხადებს, რომ მიტინგი შედგება ტრაფალგარ-სკვერში 1 მაისს, როგორც ეგზეზარეფი იყო, და რომ ლონდონის გარეუბნებში, სადაც ანაც დემონსტრანტთა კოლონები ჩვეულებრივ მოძრაობას იწყებენ, გაიმართება საპრიტეტაო მიტინგები.

„ინგლისი და ფრანკეტული ესპანეთი,—ნათქვამია აღმასკომის განცხადებაში,—ევროპაში ერთადერთ ქვეყნები იქნებიან, სადაც მუშებს აკრძალული ექნებათ თავის დედაქალაქში საპირველმაისო დემონსტრაციის მოწყობა. 1949 წელს, ფაშიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილ ომის დამთავრების 4 წელზე ნაკლები ხნის შემდეგ, როცა ხელისუფლებს სათავეში უდგანს ლეგიონერებისა და ფაშისტების ოჯახებიდან მოსული ადამიანები, ლეგიონერებმა შინაგან საქმეთა მინისტრი ადგენს ასეთ აკრძალვას. 660 ათასი ორგანიზებული ლონდონელი მუშის სახელით ვაცხადებთ, რომ ეს შეურაცხყოფას მთელ პროფკავშირულ მოძრაობას“.

აღმასკომი მოუწოდებს ლონდონელ მუშებს— 1949 წლის პირველ მაისს მოაწყონ „მთელ თავის სახელოვან ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები“.

„ნიუ-იორკერ ტაიმსის“ ბერლინელი ფელეტონისტის ბოდვა

ბერლინი, 1 აპრილი. (საკდესი). „ნიუ-იორკერ ტაიმსის“ ბერლინელი ფელეტონისტი ბოდავს, ბერლინელ ებრაელ ბავშვებს ეკრძალებოდა ბაღებში ბალახზე ჯდომა,